ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№423 (482) 13-27 თებერვალი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

სერგი საჯაია: არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

გვ.3

გვ.10

მურმან სანგულია: გამოხმაურება მწერალ გივი სომხიშვილის პუბლიკაციაზე

კუკური ფიფია: ვინ აყალბებდა ჩვენს ისტორიას, ვერაგი მტერი, თუ უგნური მოყვარე?

გვ.2

ვახტანგ გვარამია: ვინ და როგორ გახსნა “ლაზიშვილის საქმე”

გვ.7

ბიჭიკო ზვიადაძე 85 წლისაა

გვ.12

იზა თამაზაშვილი: სადა ხართ მამულიშვილებო?!

გვ.9

გვ.11

ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

როლანდ ჯალაღანია: ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე...

გვ.5

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

რეზო კიბორძალიძე: როდემდე ქართველნო! როდემდე?

გვ.10

ვინ აყალბებდა ჩვენს ისტორიას, ვერაგი მტერი, თუ უგნური მოყვარე?

ცნობილია, რომ კაცობრიობის პირველ ანბანურ დამწერლობად მიჩნეული ფინიკიური ანბანი ეგვიპტური იეროგლიფებისგან თანდათანობითი ტრანსფორმაციის გზით ჩამოყალიბებული ანბანური დამწერლობაა, მაგრამ მას პიქტოგრაფიული დამწერლობის განვითარების საკუთარი გზა, ანუ პირველი და მეორე სტადია (პირველი სტადია, როცა ერთი ნახატნიშანი ერთ სიტყვას აღნიშნავდა; მეორე სტადია, როცა ერთი ნახატნიშანი სიტყვის მხოლოდ ერთ მარცვალს აღნიშნავდა; ხოლო მესამე სტადიაში იხატებოდა საგანი და იკითხებოდა ამ საგნის სახელწოდების საწყისი ბგერა. ამა თუ იმ ბგერის აღმნიშვნელი ნახატნიშნები თანდათანობითი ტრანსფორმაციის გზით მარტივდებოდნენ და ჩამოყალიბდნენ ისე, რომ შესაბამისი ბგერების აღმნიშვნელი ანბანური ნიშნები) არ გაუვლიათ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ფინიკიური ანბანური დამწერლობის ჩამოყალიბებას რომელიღაც სხვა ანბანური დამწერლობის ბუნებრივად ჩამოყალიბება უნდა სდებოდა საფუძვლად. ასეთ პროტოდამწერლობად, რამაზ პატარიძის აზრით, პროტოსემური უნდა ყოფილიყო, მაგრამ პროტოსემური დამწერლობა უცნობია, რადგან ის, საერთოდ, არ არსებულა. ხატოვანი დამწერლობიდან თვითგანვითარების ბაზაზე ბუნებრივად ჩამოყალიბებული ანბანური დამწერლობა, ჩვენი მხედრულის გარდა, დედამიწაზე არ არსებულა. ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით.

ფინიკიური რომ წარმოეჩინათ კაცობრიობის პირველ ანბანად, კაცობრიობის, ნამდვილად, პირველი ანბანური დამწერლობა – ჩვენი მხედრული უნდა შეენიღბათ. ამისთვის ხელსაყრელი პირობები სემიტებს მაშინ დაუდგათ, როცა კაცობრიობის პირველი ცივილიზაციისა და პირველი ანბანური დამწერლობის შემქმნელმა იბერებმა, ნებით, თუ იძულებით (1008 წელს), საბოლოოდ, დათმეს ჰეგემონობა.

ჩვ.წ.აღ-ით 523 წელს დაცემული იბერიის ნანგრევებიდან ფენიქსისებრ აღმდგარ მემკვიდრეთა მიერ გაერთიანებული ქვეყნის სათავეში, დაცემამდე, მუდამ იბერიის დაქვემდებარებაში მყოფი ქართები მოვიდნენ (ჩვ.წ.აღ 1008 წ.). ამის შემდეგ თავდაყირა დადგა იბერთა მოდგმის ისტორია. ისარგებლეს რა იბერთა სახელმწიფოს, სახელწოდებით, **„ქართველთა სახელმწიფო“**-დ შეცვლით, დაიწყო იბერების საკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვართა ტოტალური გაყალბება, იბერის, როგორც ეთნოსის, ასეთი თვით სახელწოდებით არსებობის უარყოფამდე (აკად. მ. ლორთქიფანიძე, მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე, პროფ. ტ. ფუტკარაძე და სხვები). მაგრამ უზენაესი შემოქმედის მიერ შექმნილის მიჩქმალვა და დასამარება ადამიანთა შესაძლებლობებს აღემატება. ეს ვერ გათვალეს ფინიკიელმა სემიტებმა და შექმნეს ჭურჭელი ფსკერის ნაპირზე წარწერით, რომელიც დაათარიღეს ძვ.წ.აღ-ის 890 წლით, თითქოსდა, იმ დროინდელი მოაბის მეფისადმი მიძღვნილობა. მაგრამ 2007 წელს ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა მისი სიყალბე (შენადნობი, რომლისგან დამზადებულია ჭურჭელი, თურმე, შუა საუკუნეებამდე არ არსებობდა). როგორც ეტყობა, აღნიშნულ ჭურჭელს 1876 წლამდე საიდუმლოდ ინახავდნენ (ყურადღება მიაქციეთ ამ თარიღს), რადგან ჭურჭლის გამოჩენა და მის საფუძველზე პირველობის დაჩემება, მსოფლიო ლიტერატურის უპირველესი და უძვირფასესი შედევრის **“ვეფხისტყაოსნის”** არსებობის პირობებში, ეჭვს გამოიწვევდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ გენიალური ნაწარმოების შექმნა მწირ ნიადაგზე, უძველესი და უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის არსებობის გარეშე, შეუძლებელი იყო. ამიტომ გაქრა ქართველთა თვალსაწიერიდან უძველესი იბერიული სიბრძნე **„ეფუთი“**.

საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება 1914 წელს **„ეფუთიდან“** (ალბათ თარგმანიდან) ამოწერილი **„აფორიზმები და კალენდარი“**, მაგრამ დღეისათვის ამ წიგნის თარგმანიც გამქრალია.

მე მოწმე ვარ, რა დიდი ინტერესით დაეძებდნენ ებრაელი ვაჭრები სამეგრელოს სოფლებში, იქნებ სადმე შემორჩენილ **„ეფუთს“** საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის ბოლო პერიოდში, როცა უკვე აშკარად გამოკვეთილი ჩანდა სტალინური სტრატეგიის გამარჯვება ჰიტლერულ ფაშიზმზე, რადგან შესაძლო იყო ამ გამარჯვებას სტიმული მიეცა სტალინის მშობელი ერის გაბრწყინებისათვის და დამალულ ღირებულებათა მოძიება-აღდგენისათვის. ვერაგი ბოროტი ძალა კი ცდილობდა საფუძველი გამოეცალა ასეთის შესაძლებლობისათვის. ამიტომ ვისაც ეფუთი აღმოაჩნდებოდა, მათ ყველას აყვავებას ჰპირდებოდნენ.

შუა საუკუნეებში გაქრა გენიალური პეტრე იბერის **„მიზეზთა წიგნი“**, რომელიც იოანე პეტრიწს (1050-1125) ხელთ ეპყრა (იხ. შ. ნუცუბიძის **„იოანე პეტრიწი და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა“**).

ქართული ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“, თითქოსდა, ქრისტიანული რელიგიის საწინააღმდეგო ქმნილების გასანადგურებლად სამღვდელოება იყო განწყობილი. ამ ხელთუქმნელი ქმნილების ავტორი, გენიალური ჰუმანისტი, იძულებული გახადეს სამშობლოდან გადახვწილიყო და ბერად აღკვეცილიყო. **„ვეფხისტყაოსნისადმი“** უარყოფით დამოკიდებულებას მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს და ანტონ I კათალიკოსს აბრალებენ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია მათ ვერ გაეცნობიერებინათ **„ვეფხისტყაოსანში“** გაცხადებული წმინდა ქრისტიანული მოძღვრების სწორუპოვარ მხატვრულ ფერებში ქადაგება. ნათელია, რომ საკაცობრიო მნიშვნელობის ეროვნულ ღირებულებათა მოსპობა-განადგურებაში **„მოყვრად“** შემოთესლილი ვერაგი მტრის ხელი ფათურობდა.

ახლახან შემთხვევით ხელში ჩამივარდა ქ-ნ ლივერი ქადაგიშვილის წიგნი **„ქართველი ერის ხმა იდუმალი“**, რომლიდანაც ამოვიკითხე ზაქარია ჭიჭინაძის წიგნიდან ამონაწერი: **„მანვე (პლატონ იოსელიანმა) შეიძინა კახეთში, ჯორჯაძიანთ ოჯახში, შოთა რუსთაველის ცხოვრება, ხელნაწერი, ძველად დაწერილი, ვისგან ეს ჩვენ არ ვიცით. კახეთიდან წამოიღო, იქ უთხრა, რომ დავბეჭდავო, მაგრამ მან ქართულს ენაზე არაფერი დაბეჭდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ... ნეტა დედანი დაბეჭდა, თუ სხვა რამ... რადგან ეს იშვიათი დედანი მის ხელში დაიკარგა და მოისპო... სირცხვილი არ არის, ძველ ბარბაროსულ საუკუნეებში ეს ძვირფასი ცნობები არ დაიკარგა, XIX საუკუნემდე მოაღწია, იგი ჩვენმა მეისტორიემ მოიპოვა და ბოლოს ეს იშვიათი მასალა ერთ ქართველ ბატონიშვილს მიჰყიდა, იმ ქართველ ბატონიშვილს, რომელსაც მიჰყიდა მთელი თავისი ძველი წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა (აუჰ, რა მეისტორიე გვყოლია?! მისი ქმედება თვით აკად. მარიამ ლორთქიფანიძესაც კი შეშურდებოდა, კ.ფ.)... ეს ძველი წიგნები ვინც იყიდა, ისიც ისეთი უსულგულო კაცი იყო, რომ მან ყველა ესენი თან წაიღო, საზღვარგარეთ გაიტანა, 1876 წელს იქ მოკვდა და მთელი წიგნები იქ განიავდა და იქ დაიკარგა“** (ლ. ქადაგიშვილი. ქართველი ერის ხმა იდუმალი, თბ. 2017. გვ. 190).

არაფერი გენიშნათ პატივცემულო მკითხველო? შუა საუკუნეებში, 1008 წლის შემდეგ ნადგურდება უძვირფასესი იბერიული მონაპოვრები და კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობის – ჩვენი მხედრულის, ბოლო, რიგით მესამე ანბანურ დამწერლობად აღიარება ხდება (ნუსხურის შემდეგ). შუა საუკუნეებში, სწორედ, 1008 წლის შემდეგ იქმნება ქ. მესას ჭურჭელი ყალბი წარწერით. 1876 წელს ანადგურებენ, საზღვარგარეთ, საქართველოდან გატანილ უმდიდრეს ბიბლიოთეკას უნიკალური წიგნებით, რომელიც ჩვენთვის სამარადისოდ იკარგება. ამის შემდეგ, იმავე 1876 წელს, ვითომ იპოვიან ჭურჭელს წარწერით. შესრულებულს, თითქოსდა, ძვ.წ.აღ. 890 წელს, რომელიც ყალბი აღმოჩნდა.

ცხადია, ყველაფერი ეს შურით, ან პირველობის მითვისების მიზნით გააკეთეს, მაგრამ რას ერჩოდნენ ღვთიური სულიერ-ზნეობრივი იდეების მომდერალსო? – იკითხავს გონიერი მკითხველი. – საქმე ის არის, რომ სწორედ ამ საკაცობრიო მნიშვნელობის ღვთიური სულიერ-ზნეობრივი იდეალების ქადაგებით რუსთაველი საფუძველს აცლიდა შავბნელ სატანურ ძალებს. ამ უზენაესი იდეალების საყოველთაო გავრცელება და გაცნობიერება საფრთხეს უქმნიდა, საერთოდ, მათ არსებობას. სამწუხაროდ, იმხანად ჩვენი წინაპრები ვერ აღმოჩნდნენ ამ უძვირფასესი საგანძურის ღირსეული პატრონები და შუა საუკუნეებში, ბატონყმური სისტემის ზეობის ხანაში, მოხდა შავბნელი ძალების კონსოლიდაცია საკაცობრიო მნიშვნელობის სულიერ-ზნეობრივი იდეალების წინააღმდეგ და იგი დამარცხდა, მაგრამ დროებით.

უზენაესი სულიერ-ზნეობრივი პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, რადგან ბოროტმა ეგოისტურმა ძალამ არ იცის, რომ იგი კიბოს თვისებისაა. კიბო, როგორც ცნობილია, ჩასახლდება რა სხვა ორგანიზმში, თანდათანობით ბოლომდე ხრავს თავის მკვებავ ორგანიზმს და ძლიერდება, მაგრამ ბოლოს, როცა საკვები გამოელევა, მალე თვითონაც აბსოლუტურად ქრება. ბოროტმა ძალამ, რომ იცოდეს სიკეთის დათრგუნვა, ამ უკუღმართი წუთისოფლის თვითლიკვიდაციას და ბოლოს, ბუნებრივი (ღვთიური) კანონზომიერების თანახმად, სამყაროს გაქრობას გამოიწვევს, ალბათ, შეელეოდა თავის აღვირახსნილ ქმედებებს და იმავე ღვთიური კანონზომიერების თანახმად, საყოველთაო ღვთიური სიბრძნე და სიყვარული დაისადგურებდა დედამიწაზე. მაგრამ უსაზღვრო ღვთიურ სიბრძნეს ადამიანი ერთდროულად ვერ იტვირთავს და ამიტომ უზენაესი დროებით უშვებს ბოროტებასაც, რომ ადამიანმა, თანდათანობით, სიკეთისა და ბოროტების არსში დაუოკებელი წვდომის სურვილით აღტაცებულმა, ღრმად შეიცნოს ისინი, რომ აბსოლუტურად უშეცდომოდ შეძლოს მათი ერთმანეთისაგან გარჩევა, რომლის შემდეგ, უეჭველია, იგი აუცილებლად დაადგება განდმრთობისა და სრულყოფისკენ აღმავალ გზას.

ამდენად, უზენაეს შემოქმედს უსაზღვროდ უყვარს თავისი უმთავრესი ქმნილება, სამყაროს გვირგვინი – ადამიანი და მის სულიერ წრთობა-განვითარებას მისმიერი გეგმაზომიერებით წარმართავს. მადლობა უფალს!

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს,

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ მარინე ჯაშს,

საქართველოს პარლამენტის წევრებს,

პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარევ,
პატივცემულო პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარევ,
პატივცემულო პარლამენტის წევრებო,

აუცილებელ საჭიროებად მივიჩნიეთ თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ჩვენის აზრით უმნიშვნელოვანეს და უაღრესად პრობლემურ საკითხზე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული არაერთი ენა გამქრალა. ფაქტია ისიც, რომ გამქრალ ენებზე მოლაპარაკე ხალხებმაც დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადეს, რაც დამეთანხმებით, იგივე გაქრობის ტოლფასია. ალბათ მოგეხსენებათ, რომ **„გაჰქრა ენა – მოკვდა ხალხი“**. ეს პრობლემაა და ის ათასეული წლებია, რაც დამოკლეს მახვილივითაა კაცობრიობის თავზე დაკიდული. ეს პრობლემა მომაკვდინებელ საშიშროებას წარმოადგენს განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ხალხებისთვის თუ ეთნოსებისთვის. უკვე ოცდამეერთე საუკუნეა, მაგრამ სამწუხაროდ ამ თვალსაზრისით უკეთესობისაკენ ჯერჯერობით არც არაფერი შეცვლილა, უფრო პირიქით, რადგან გლობალიზაციის ამ ყოვლის მანიველირებელ ეპოქაში უფრო ძალუმად იგრძნობა ამა თუ იმ ენის გაქრობის რეალური საშიშროება. ერთი სიტყვით, რაც დრო გადის საკითხი დამაფიქრებლი და აქტუალური ხდება. კაცობრიობას ისდა დარჩენია, როგორმე შეეცადოს და ეფექტურად წინ აღუდგეს ამ სავალალო ტენდენციას.

ამ მცირე შესავალის გაკეთება იმიტომ მოგვიწია, რომ ჩვენდა საუბედუროდ ქართველი ერის წიაღში დაუნჯებული ლექსიკური სიმდიდრე, ანუ მეგრული, ლაზური, სვანური და საკუთრივ ქართული ენები დიდი ალბათობით შესაძლოა უახლოეს ათწლეულებში საერთოდ გაჰქრეს. ეს არანაირად არ გახლავთ ჩვენის მხრიდან საშიშროების გაზვიადების ოდნავი მცდელობაც კი. დიახ, თვით სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება სერიოზული საშიშროება, თორემ, სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურიცაა ყოველგვარი დამცავი მექანიზმების გარეშე დარჩენილ დანარჩენ ქართველურ, ანუ კოლხურ-იბერიულ (მეგრული, ლაზური, სვანური) ენებს მეტად სავალალო ხვედრი რომ ელოდება. მოკლედ, ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს – აუცილებელია საერთოეროვნული ტრაგედიის თავიდან აცილება. უფრო მეტიც – ქვეყნის ხელისუფლება-მთავრობა ვალდებულია უსერიოზულესად დაფიქრდეს ამაზე და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებებიც გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი ჩვენი ენობრივი კულტურის, ანუ კოლხურ-იბერიული ენების გადასარჩენად. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პარლამენტის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური და კომპენტენტური კომისია, რომელიც ზემოთაღნიშნული ენების დაცვა-განვითარების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს ყოვლისმომცველ, კომპლექსურ პროგრამას. პროგრამაში სკრუპულოზურად ასახული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზებით შეუქცევადი უნდა გახდეს ჩვენი ენობრივ-ლექსიკური კულტურის არათუ დაცვა-გადარჩენა, არამედ, მისი შემდგომი განვითარებაც. კომისია დაკომპლექტებულ უნდა იქნას ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით და მასში აუცილებლად უნდა იქნან ჩართული ენათმეცნიერები, მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა. შ. ჩვენი მხრიდან გამოვთქვამთ მზადყოფნას, რომ წარმომადგენელთა ჩართულობით მხოლოდდამხოლოდ პოზიტიური წვლილი შევიტანოთ აღნიშნული კომისიის საქმიანობაში.

პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარევ!

პატივცემულო პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარევ,

პატივცემულო პარლამენტის წევრებო,

დრო არ ითმენს. რადგან არსებობს პრობლემა – ბუნებრივია არსებობს მისი გადაჭრის აუცილებლობაც. პრობლემა კი, აუცილებლად ჩვენი გადასაწყვეტია. ჩვენ არ უნდა დავუშვათ არსებული პრობლემატიკის გარშემო ესკალაციის პროვოცირება. პრობლემა გადაწყვეტილ უნდა იქნას ზოგადეროვნულ და ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდდამხოლოდ ქართველური საზოგადოებრიობის და საქართველოს ხელისუფლება-მთავრობის ერთობლივი თანამშრომლობა-ძალისხმევით.

და ბოლოს, ვიტოვებთ იმედს, რომ ჩვენი ეს მიმართვა არ დარჩება **”ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა”**.

უფალი ფარავდეს ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების და კოლხურ-იბერიული თვითმყოფადობის უმთავრესი გამოხატულების – ენობრივ-ლექსიკური საუნჯის დაცვა-შენარჩუნებაზე ორიენტირებულ საქართველოს!..

პატივისცემით,

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს” რეგიონული რწმუნებული

არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

(მწუხრისბჭობანი)

მოვწერე თქვენდა წიგნსა ამას შინა: ნუ თანააღერევით მეძავთა...
კორინთელთა მიმართ - 5,9;

...შენ კი მკითველო, იქნება ის არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კოშტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს...
წმინდა ილია მართალი;

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს...
დიდოსტატი კონსტანტინე;

ქართველო ერო, შენ გაგიჟდი!..
1991 წ. სექტემბერი
სერგეი სერებრიაკოვი

1. წუთჩაფიქრება წინათქმისათვის: სიცხადეს ბებუთივით სერავს დიდოსტატის საგაკვეთილო დასკვნა: „როცა ხალხს ამდენი მტერი შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“-ო. ამის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მამულს მიტარიგებული პირტიტველა, მაგრამ არამხუტუ ბიჭების საფლავთა (ან კიდევ დაუმარხავად გამიწებულთა) უხმო, მაგრამ უზავო ამრისხანება ბიჭვინთის, ლიხნის, ანაკოფიის, კომანის, ბესლეთის, ცხუმის, დრანდის, მოქვის, ქიაჩის, ილორის, გუდავის... ჯერ კიდევ ხმა ჩაუხშობი კოლხური ძალმოსილება ჩვენი ვინაობის წინაშე მავალებს, პირდაპირ ვკითხო თანამედროვეობას, – დღეისათვის გაგვაჩნია, გვჭირდება ღირსება და ვინარჩუნებთ თუ არა ერთგულებას ეროვნულ-სახალხო ღირებულებისადმი?!.

ბოლოსდაბოლოს, სჭირდება ქვეყანას სახელმწიფოებრივი სიბრძნე, აქვითკირებული ეროვნულ-სახალხო წინგახედულებაზე?!.

მივხვდეთ უნდა თუ არა იმას, რომ ქართველი ერი მოსწყდა საკუთარი (პონტო-კავკასიის) გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის გზის გაწალდვას და აგრესიული გლობალიზმის ერთბაშა მეგზურობა (გამსიტყვებლობა) გაიპიროვნა?!

ვისიგრძეგანებთ თუ არა, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ღვთისგმობით, ერის ზურგსუკან და სამშობლოს გადაქელვით მიიღება, უღმერთო, სახელმწიფოს საწინააღმდეგო და ანტიეროვნულია?!.

როგორ მიგაჩნიათ, როდესაც დიადი ასომთავრული ქართველი ახალგაზრდა მწერლის ხელით დედაშვილობის ღვთივწვდომილებას ასე გაასტრიქონებს – „დედამ სამოც წელს რომ მიაღწია უმაქნის ხორცის მასად იქცა“-ო... ან კიდევ, როცა ეს ახურუშებული სიწმინდეში ამნაირად ჩაარწყევს – „მე მიდგებოდა, როცა დედა პირჯვარს იწერდა. ყოველთვის მეუფლებოდა განცდა, თითქოს ცერა, საჩვენებელი და შუა თითები შუბლთან მიტანის შემდეგ, მუცლის ნაცვლად ბოქვენთან გადაინაცვლებდნენ“-ო (ერეკლე დეისაძე), ხოლო, თუ კი ამ ხმაბოდვას საქართველოს აკადრებს წინამდებარე რეგვენი, მაშინ, რაკიღა ამას ეგუება, შეაბიჯა თუ არა ასეთი ავტორის თანამედროვე საზოგადოებამ გადაშენების წინადღეში?!.

მეთანხმებით თუ არა, რომ ისეთ შემოქმედებით სიმრავლეში, სადაც ხრწნადობა ნაპკურ სურნელებად მიიჩნევა, სულიერება დაუმარხავი გვამის მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან იგი უკვე ცხედარიც კი არაა და მხოლოდ ლეშია?!.

ვიცნობიერებთ თუ არა იმას, ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე კონვერტირებული ვალიუტა რომ ოცდაათი ვერცხლია?!.

შეკითხვები კიდევ განვაგრძო?!.

ასეთ დროს, როგორც ზემოთდამოწმებული დიდოსტატი კონსტანტინე ამბობდა, „ქაოტურ გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ღვთაებრივი ჰარმონიის ხილვისა და შექმნის უნარი“.

ამნაირ სიცხადეში გიორგიანული და ქრისტესმხედრული მოვალეობა მოითხოვს, – ამგვარი ძალისხმევა ვაჭექაქუხილოთ წამგაუცდენლად: „ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება...“ აქედან გამომდინარე, ვეშინაარსები დებულებას, „ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული, ლანდი, – არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა...“

შესაბამისად, იმისათვის, რათა საკუთარ თავს პატივისცემა არ მივუტოვო, უფლის ნაკარნახევი პასუხისმგებლობა უნდა გავიპიროვნო, – „ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!“ (გალაკტიონ ტაბიძე, „ეფემერა“).

დიახ, სწორედ ამ სულისკვეთებით ვზრდიდი, განვანათლებდი და ვგეშავდი მე, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი ჩემს მოსწავლეებს (რა თქმა უნდა, შვილებსაც), რომელთა უმრავლესობა 1992-93 წელს ჩრდილოელთა მიერ თავსმოხვეულ საომარ ავანტიურაში სამშობლოს იცავდა და მათგან ქრისტესმხედრული შემართებით არაერთი დაეცა. ღმერთმა მათ, სუყველას სასუფეველი დაუმკვიდროს. მათ შორის ჩემს ხელში გაზრდილი ოცზე მეტი მე-10 ან მე-11 კლასელი იყო, რომელთაც ორსამჯერღა თუ მოასწრეს ლოყაზე ღინღლის ჩამოპარსვა.

ეს ბიჭები აფხაზებად (და არა „абхазец“-ებად) დაიბადნენ და ამ ვინაობად კაცდებოდნენ, ხოლო აფხაზობა ქრისტესმხედრობას, გიორგიანელობას, ზნეობრივობას, სიმამაცეს, ზრდილობას, სიტყვაკაზმულობას, წიგნიერებას, განათლებულობას, ასომთავრულ-მხედრულ-ნუსხურით თვალგახელასა და ქართულ ხორხისმიერებას, სახლიკაცობის პატივმიგებას, პურ-ღვინოსთან პირნათლობას ნიშნავდა აფხაზურ ლასკარსა თუ ჭერქვეშეთში.

სამწუხაროდ, დღეს ყოველივე ამას პატრონი არ ჰყავს, ანუ ხელისუფლებაში კაცი არაა, რომელიც ამისთვის თავს დაივალდებულებს და სახელმწიფო პოლიტიკაც არ არსებობს, რომლის მიხედვით მსოფლიოს დაუზუსტდება ქართველთა სულიერი თუ გონითი განფენის სივრცე, სადაც კანტს, ჰეგელს, ლესინგს და ა.შ. სულის სრულყოფილებაში გაშინაარსება ეგულებოდათ (ამას, პირველ რიგში, ვითომევროპის წინაშე უდირსებოდ, უვინაოდ და საცვალჩაწევით წაწოლილებს ვეუბნევი).

ჰოდა, ასეთ ვითარებაში ამ სივრციდან ნებისმიერი, ვისაც არ ეზარება და თავხედობა ჰყოფნის, სათავისოდ იჯიბავს: იმ ქართველმა, რომელიც ცენტრნაცმენური სულისკვეთებით არ აზროვნებს, იცის, რომ სამეგრელოში (ისევე, როგორც სვანეთსა და ლაზეთში) მარილს ჯიმს ეძახიან. დანაყულს ამ მხარეში „კაკილ“ ჰქვია. ამის მიხედვით ზღვისა და ჭაობის გასწვრივ, ნესტიან პირობებში მცხოვრები მეგრელები ცხარე საჭმელებს ხმარობდნენ და ხმარობენ. ისინი საკმაზად იყენებენ დანაყულ მარილს, წიწაკას, ქინძს და მისთანებს (სუნელებს). ამას მეგრულად ჰქვია „ჯიმკაკილ“ ჩასაფრებულის ავყიობით არ ვამბობ, მაგრამ (სინამდვილეში ჩაუხედაობაა ისიც, როცა ჯიმკაკილს „სვანურ მარილს“ ვუწოდებთ. ცნობილია, რომ სვანეთში მარილი არ მოიპოვებოდა (გაიხსენეთ რევაზ მარგიანის „იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი...“). მარილიც და ჯიმკაკილიც აქ სამეგრელოდან აჭქონდათ). თავანკარა სვანურია „სგვიმ“ – მუავე წყალი, იგი ამ მხარეში უხვადაა, თან სალიტერატურო ქართულში მისი ერთსიტყვიანი შესატყვისი არაა, ამიტომ ეს სიტყვა (და მისი მსგავსი) დავამკვიდროთ).

კი ბატონო, სახლიკაცმა აფსუებმა, რომლებიც ყოველთვის როდი შემოიხიზნებოდნენ გულითადობით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ე.ი. აფხაზეთში ანუ სამეგრელოში) დამკვიდრებისთანავე გაითავისეს დამხვდურ მეგრელთა სამეურნეო თუ სულიერი გამოცდილებები.

ასეთმა ყოველდღიურობამ მეგრული ჯიმკაკილი აფსუათა ყოფაში ჯერ აჯიმკაკილად შემოიტაბაკა (მოგეხსენებათ, აფსუურ მეტყველებაში საგნის სახელებს „ა“ თავსართი ერთვის), შემდეგ კი, დროთა განმავლობაში იგი „არამეგრულ“ („არაქართულ“) „აჯიკად“ ჩამოიქნა.

ქვეყანას იმდენი შეუგინებლობა და მშობლიურობა გაუსხვისეს, რომ ასეთ „წვრილმან“ რამეზე ჩემი აღშფოთება იქნებ ვიღაცას მოცლილი კაცის ახირებად ან მახათის მომარჯვებად მოეჩვენოს, მაგრამ დღეს ეს აჯიკა, პირველ რიგში ჩვენს მიერვე, თანაც ერთგვარი შთაგონებითაც კი ცხადდება არამეგრულ (არაქართულ), მაშასადამე, აფხაზურ კი არა – „абхазец“-ურ საკმაზსანელებლად. მიზნობრივი პროპაგანდა ამას ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში უწყობს ხელს. ასე მაგალითად, სხვა მრავალთა შორის ასეთი ხელგამოღებისათვის მოიცალა ისეთმა „ფერადმა“ გაზეთმაც, როგორიცაა „ახალი თაობა“ (2017 წ. 22 დეკემბერი).

მისი ფურცლებიდან გვახარეს, რომ ლონდონელი „მეცნიერი“ ჯორჯ ჰიუტი, რომელიც „абхазец“ სეპარატისტთა სიძეა და რომელმაც დასავლეთში ჩვენზე არაერთი ცილისწამება ქმედუნარიანად გაავრცელა, ამჯერად თავს, თავის ცოლოურებთან ერთად, ლონდონში სწორედ „არამეგრული“ აჯიკის წარმოებით ისაქმებს, რასაც თან ახლავს „მეცნიერული“ ლექციონარი აფხაზეთის „არაქართულობის“ შესახებ.

სწორედ ასეთ წვრილმანში ისაგნება, უფრო სწორად ინაღმება მიზნობრივად ყურდახშობილი ჩვენი საზოგადოებისათვის სააფხაზეთო შინაარსის დივერსიული სახეზოგადობა: მათთვისაც, ისევე ჯორჯ ჰიუტისთვის აფხაზეთი ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო საქართველო არაა!..

ამ მხარის ასეთი მოაზრება, დამეთანხმოთ უნდა, სახალხო ნებართვაა, მეტიც დასტური გახლავთ იმისათვის, რათა ავმოსურნემ რეგვენი მოყვრის თვალწინ მსოფლიოს უმტკიცოს – აფხაზეთი არააო საქართველო!..

აი, როგორი „წვრილმანი“ ყოფილა „აჯიკისათვის“ დედანი შინაარსის ართმევა და მისი წარჩენა „არამეგრულ“ საკმაზად!..

აქ საყურადღებოა ცნობილი სოხუმელი ქართველი მეცნიერის, ჭეშმარიტად აფხაზური გვარის ღირსეული წარმომადგენლის, აწგანსვენებული ვალერიან ზუხბაიას აზრი თავის გახმაურებულ წიგნში „გალი“ (თბილისი, 2002 წ.). იგი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ გიორგი I მიმისამართებას მოძალადე ბიზანტიელებზე ამგვარად უპიროვნებს აგრესორ-სეპარატისტებს აფხაზეთში: „... ენა აბაზინებს მოპარეს, გვარები ქართველებს, ჩრდილოეთ კავკასიელებს, თურქებს, ადათ-წესები მეზობელ მეგრელებს (ე.ი. ქართველებს, ს. საჯ.), სინდისი ვერავის მოპარეს, რადგან სინდისი მათ არ სჭირდებათ“...

ოღონდაც! საუბედუროდ, ქვეყნის იმ სკნელში, როგორც იტყვიან, – „სადაც ჯერ არს“, დღემდე არიან ძალები, რომელთათვის ესა თუ ის საკაისაქმო შინაარსს, ოღონდ მეგრული (ე.ი. ქართული) არ ერქვას და თუ გინდა იაკუტიელს გაუპიროვნე!..

კიდევ ერთხელ გეუბნებით, დავუშვათ და „აჯიკა“ სახმაუროდ არ ღირს (რატომ?!), მაგრამ ჩვენ რეგვენული ხელგამოღებით არაქართულ ვინაობად ვაცხადებთ თვით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მკვიდრ ქართველთა (მეგრელთა) სამხარეო სახელს – „აფხაზს“, ჩვენივე ბაგეებით შიდა ქართლის, ზემო იმერეთისა და რაჭის ნაწილს (გნებავთ დვალეთს) ვარქმევთ ოსეთს. ჩვენი წინგაუხედაობის კიდევ რომელი გამოჭენება გავასაჯარისო?!

2017 წლის 21 დეკემბერს სადღაც დედა ლიახვის აყოლებისკენ, იმ მიდამოებში, სადაც წინგახედული და წინასწარმეტყველი, უდიდესთაგანი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი მოქმედი პირი, იგივეობა და შეუგინებლობა სამშობლოსი – მარგო გააუპატიურა მომხდურმა ჯაყომ, სწორედ იმ ხმის გაწვდენაზე, ქართულად აკვნესებულ მამულში, ოკუპირებული ცხინვალის მხარის სასაზღვრო მავთულხლართებს აქეთ, საქართველოს ვაიხელისუფლების მიერ „კონტროლირებად“ მხარეზე ქართველმა ქალბატონმა შენიშნა მიწაზე გაშხლართული კაცი. იფიქრა, რომ შეუძლოდ იყო და დასახმარებლად მივიდა მასთან. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც ჯაყო, აღმოჩნდა ოსი „მესაზღვრე“ (ოკუპანტი), რომელმაც უმწეო დედაკაცი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით დააპატიმრა და ცხინვალის საპატიმროში მიაბრძანა.

ასეთია ყოველდღიურობა.

ამ დროს (2017 წლის 22 დეკემბერი, 1991 წლის სისხლისღვრის (ეროვნული უბედურების) დაწყების დღე) ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა, რომელმაც პირში წყალი ჩაიგუბა ქართველი ერის უფლებათა დარღვევების შესახებ, მთელი გადაცემა მიუძღვნა (პროგრამა „კურიერში“ 6 წუთი დაუთმო) ეგვიპტიდან ჩვენთან შემოხიზნული პედარასტის „უფლებათა დაცვას“, თანაც აღშფოთებით განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ „წამებულ“ კაცს, რომელსაც ეგვიპტეში სდევნიან ხრწნილი ცხოვრების წესის გამო, პოლიტიკური დევნილის სტატუსს არ აძლევსო. თავის მხრივ, „ქართული“ მესამე სექტორისაგან ზურგმოაგრებულმა ეგვიპტელმა გეიმ უტიფრად მოგვახალა, რომ ეგვიპტეში უმცირესობების უფლებების დამცველად მიიჩნევენ საქართველოს და ამ შემთხვევაში რა ხდებაო?!

ვაი, ჩვენს თავს, აი, რითი გვიცნობენ დღეს!

ზემოთ ჩემს მოსწავლეებზე ვსაუბრობდი, რომლებმაც სამშობლოსათვის სიცოცხლე უყოყმანოდ დათმეს.

იმხანად სწორედ მათი ტოლები იყვნენ დღეს საიდანღაც და რატომღაც „მწერლებად“ დანიშნული მეწიგნეები (საზოგადოების ერთი ნაწილი „უბორნიის მწერლობას“ რომ უწოდებს „სურნელოვანი“ ხრწნადობისაკენ მათი თავაწყვეტილი მიდრეკილების გამო). ამგვარად ფეხაწყობილთა „შემოქმედებისათვის“ ეროვნულ-სახალხო ღირებულებები ყავლგასულობაა. ის კი არა და, ისინი ჩვენს მამულში ქართველ ერს ჩასანაცვლებელი ახალი ეთნოფაქტის „სულიერ“ ნიშანსვეტებად იქცნენ უსაშველო ხმაბოდვათა გახმოვანებების გზით (ქართველთა დეეთნიზაცია). დასანანია, რომ მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ჩვენი კუთხის შვილი – პაატა შამუგიაა, რომლის შემოქმედებას ღერძულ მიმართულებად ექცა ბრძოლა მართლმადიდებლობისა და საქართველოს ეროვნულ-სახალხო ფასეულობათა წინააღმდეგ (იხ. მისი „ანტიტყაოსანი“ ან სხვადასხვა ე.წ. „დაუჯდომელი“). მისთვის ერისა და უფლის სახელით სამშობლოსათვის თავდადება სულაც არ გახლავთ ზნეობრივი სვლაგეზი. პირიქით, ისევე, როგორც თავის თანამოაზრეთა მთელი ჯოგი, სამოქმედო წესდებად იდგენს ერთერთი თანამოსანგრის ასეთ გაყროყინებას, არა, არ მეშლება, მან იგი საყოველდღიურო წესდებად დაიკანონა – „საქართველო აღარ მიყვარს, აი, ჩემი წელთაღრიცხვა, ახალი! ქართველები მეჯავრება, აი, ჩემი წელთაღრიცხვა ახალი“... ან კიდევ „მუზავ, უმღერე სისულელეს ქართველთა მოდგმის!..“ (ე. ნოზაძე).

დიახ, პაატა შამუგია, რომელსაც ჩანს, არც გაუგია 1993 წელს გუმისთაზე ჩახოცილი მისი კბილა მამულის ტარიგთა შესახებ, რამდენად უნდა გადაჯიშებულიყო, რომ „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“-ისთვის დაეხშო ყურთასმენა და თავისი მსოფლმხედველობა ასეთ ხმაბოდვაში გაესაგნებინა: „ფსიქოანალიზური გააზრებით, ქოთანი დედის საშოა, რომელშიც პრეემბრიონული მოგონებები პროეცირდებიან, ქოთნიდან ხვრეპა კუნილინგურია, ინცესტის არომატით“... (მკითხველს ვთხოვ, ერთი წუთი შეისვენოს და გაიხსენოს ის ამაზრზენობა, როდესაც ახლად გაუქმებულ ქართლ-კახეთის სამეფოში ჩრდილოეთიდან „მოძმედ“ მოსულმა დამპყრობლებმა სადღაც თიანეთთან (არა მხოლოდ აქ) ორსული ქალი ჯგუფურად გააუპატიურეს და შემდეგ საშოში ძაბრი გაურჭვეს, რათა ღვინო ჩაესხათ.

რაიმე სხვაობას ხედავთ ამ „მელექსისა“ და იმ მოძალადეთა სულიერ მოთხოვნილებებში?!).

სერგი (გიორგი) საჯაია,
(გაგრძელება იქნება)

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ტანკ T-34-ის ცუდმა ტექნიკურ-ტაქტიკურმა მახასიათებლებმა აიძულეს საბჭოთა ხელმძღვანელობა, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მიემართათ დახმარების თხოვნით ამერიკელებისათვის. 1941 წლის დეკემბერში ტანკები T-34 და KB-1 გადაეცათ ამერიკელებს ყოველმხრივი ანალიზისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის, რაც გამორიცხავდა წუნს მათი წარმოებისას.

ამერიკელთა ანგარიში ამგვარი გახლდათ:

"გამოცდისას საბჭოთა ტანკებმა გამოავლინეს სავალი ნაწილისა და ძრავის უაღრესად დაბალი საიმედოობა. 343 კილომეტრის გარბენის შემდეგ ტანკი T-34 გამოვიდა მწყობრიდან იმდენად, რომ მისი აღდგენა ვეღარ მოხერხდება.

ამის მიზეზი გახლდათ უაღრესად დაბალხარისხიანი ჰაერის ფილტრი, რომლის მიზეზით დიზელის ძრავში მოხვდა უამრავი ნაგავი. ამის შედეგად მწყობრიდან გამოვიდნენ ცილინდრები და დგუშები. ტანკი გამოცდიდან მოიხსნა, მისი ზარბაზნის შემოწმება მოხდება M-10 სისტემის ტანკზე, T-34 კი გაიგზავნება დიდი ბრიტანეთის ქალაქ აბერდინში, დაიშლება და შეინახება როგორც ექსპონატი.

ჯავშნის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ორივე ტანკზე ჯავშნის ფილებს გავლილი არ ჰქონდათ დრმა წრთობის პროცესი, დანარჩენი ჯავშანი კი ფაქტიურად რბილ ფოლადს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ წრთობის ტექნოლოგიის შეცვლით შევძლებთ საგრძნობლად შევამციროთ ჯავშნის სისქე, ამასთან, შევინარჩუნოთ მისი არსებული სიმყარე, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ T-34 ტანკის წონა შევამციროთ 8-10 პროცენტით.

შედუღების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. T-34 ტანკის ქვედა ნაწილში თავისუფლად შედის წყალი მდინარეების გადალახვისას, ზედა ნაწილი კი წყალს აპარებს წვიმების დროს. ყველა ღრიჭოდან შემოდის დიდი რაოდენობით წყალი, რასაც მწყობრიდან გამოჰყავს როგორც ტანკების ელექტროსადენები და აპარატურა, ასევე საბრძოლო მასალებიც.

F-34 ზარბაზნის ჭურვს გააჩნია ძალიან დაბალი სასტარტო სიჩქარე – 385 მეტრი წამში. ჩვენი ტანკის "შერმანის" M-3 ზარბაზნის სასტარტო სიჩქარე კი შეადგენს წამში 560 მეტრს.

ძალზე არასახარბიელოა ტანკის კოშკურის კონსტრუქციაც. ძირითადი ნაკლი მისი სივიწროვეა. ჩვენთვის გაუგებარია როგორ ეტევიან მასში ტანკისტები ზამთარში, როცა ქურქები აცვიათ. ასევე მოუხერხებელი და უხარისხოა კოშკურის მოძრაობის ელექტრომექანიზმი. მოტორი სუსტია, გადატვირთულია და ნაპერწკლებს აფრქვევს, რასაც მწყობრიდან გამოჰყავს სიჩქარეების რეგულირების წინაადმდეგობები, იმტვრევა კბილანები.

მუხლუხოების შემოწმება. ფოლადის ტრაქის იდეა უდავოდ მოსაწონია, მაგრამ ვიდრე ტუნისში მკაცრ გამოცდას არ გაივლიან ჩვენი ტანკების რეზინის ტრაქები, მანამდე საუბარი მათ ავკარგიანობაზე უადგილოა.

T-34 ტანკის მუხლუხოების დამჭერი ღეროები უხარისხო რკინისგანაა გაკეთებული და ცუდათაა ნაწრთობი, რაც მათი ხშირად მწყობრიდან გამოსვლისა და მუხლუხოების გაგლეჯვის მიზეზი ხდება.

T-34 ტანკის სავალი ნაწილი აღებულია ჩვენი ტანკიდან "კრისტი". სიმართლე რომ ვთქვათ, მან ჩვენს ტანკებზე ვერ გაამართლა და არც რუსულ ტანკზე უნდა გვქონდეს მისი წარმატების მიზეზი.

შევამოწმეთ ჰაერის ფილტრი. მხოლოდ საბოტაჟის მომხრეს (ამას ამბობენ ამერიკელი სპეციალისტები და არა საბჭოთა ჩეკისტები) შეეძლო შეექმნა მსგავსი მოწყობილობა. მექანიკური თვალსაზრისით ფილტრი მეტად პრიმიტიულადაა გაკეთებული. წერტილოვანი შედუღების ადგილებზე მეტალი ბოლომდე გამომწვარია, რის გამოც ძრავიდან ხდება ზეთის გაჟონვა.

ძალზე უხარისხოა სტარტერი – იგი დაბალი სიმძლავრისაა და არც თუ საიმედო კონსტრუქციას წარმოადგენს.

ტრანსმისია. ტექნიკოსი, რომელიც ამ აგრეგატზე მუშაობდა, გაოცებული იყო, რადგან ამგვარ ტრანსმისიასთან მას კონტაქტი უხდებოდა დაახლოებით 12-15 წლის წინათ. გაიგზავნა შეკითხვა ფირმაში, რომელმაც გამოაგზავნა A-23 ტრანსმისიის ნახაზები. ჩვენდა გასაოცრად, ნახაზები ზუსტი ასლი აღმოჩნდა ტანკებზე დაყენებული ტრანსმისიისა. გაგვაოცა არა იმან, რომ იგი კოპირებული იყო ჩვენი კონსტრუქციებიდან, არამედ იმან, რომ ჩვენ უარი ვთქვით ამ კონსტრუქციებზე მისი მორალური სიძველის გამო.

ჩვენ ვთვლით, რომ კონსტრუქტორმა, რომელმაც ეს მექანიზმი ტანკს დაუყენა, გამოავლინა არაადამიანური სისასტიკე მძღოლის მიმართ, რადგან მისი მუშაობა ტანჯვის ტოლფასი გახლდათ.

ექსპლოატაციის პერიოდში საერთოდ დაიმსხვრა კბილანები, რომლის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ თერმული დამუშავება ჩატარებული იყო საშინლად უხარისხოდ და იგი კატეგორიულად არ პასუხობდა არცერთ ამერიკულ სტანდარტს.

მანქანები ძალიან ნელა გადაადგილდებიან. T-34-ცა და KB-1-ც ბევრად უარესად გადაადგილდებოდნენ ფერდობებზე, ვიდრე ნებისმიერი ამერიკული ტანკი.

განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს სიჩქარის გადაცემათა კოლოფი. მის გადართვას ორი ადამიანის ძალა სჭირდება. ჩვენ რუს ინჟინრებს ჩასანაცვლებლად გავუგზავნით ჩვენი ტანკების სიჩქარეთა გადაცემის კოლოფს.

ამერიკელი საქმოსნები საკუთარი მოწოდების ერთგულნი რჩებოდნენ. მაშინაც კი, როცა მსოფლიოში მშვიდობის საქმე ბეწვზე ეკიდა, ისინი პირველ ადგილზე მაინც ბიზნესს აყენებდნენ. რა შეიძლებოდა მათთვის ყოფილიყო უფრო მნიშვნელოვანი? ამ ბიზნესის რეკლამა! კითხულობ მათ დასკვნას და ყოველი ფრაზის მიღმა ვუალირებულია მთავარი აზრი: "შეიძინეთ მხოლოდ ამერიკაში შექმნილი პროდუქცია!"

სიტუაციას კი ვერსად გაექცევი, როცა მტერი კარსაა მომდგარი...

ამის შედეგად, ამერიკელებმა საკმაოდ დიდი თანხის სანაცვლოდ გამოგზავნეს საბჭოთა კავშირში საკუთარი ტექნოლოგია, როთაც მოძველებული ტექნიკა შეიცვალა T-34 ტანკზე.

გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ გერმანული მსუბუქი ტანკის PZ.II-ის სრული საექსპლოატაციო გარბენი შეადგენდა 11.500 კილომეტრს, საშუალო ტანკის PZ.IV-ის გარბენი კი შეადგენდა 11.000 კილომეტრს.

ტანკი T-34 წარმოადგენდა კვანძებისა და აგრეგატების აჯაფსანდალს, რომლის აწყობა ხდებოდა თითქმის მთელ მსოფლიოში. სავალი ნაწილი აღებული იყო ამერიკული ტანკი "კრისტისაგან", მოტორი გერმანული თვითმფრინავებიდან იყო აღებული, მრავალი აგრეგატი ავსტრიელებისა და იტალიელებისაგან იყო ნასესხები და ა.შ. პრაქტიკულად, ეს კვანძები და აგრეგატები წარმოადგენდნენ 20-იანი წლების მიწურულისა და 30-იანი წლების დასაწყისის ქმნილებებს. მაგალითად BMW-ს ძრავი, რომლებსაც გერმანელები ბიპლანზე აყენებდნენ 20-იანი წლების შუალედში.

(ხდება ციტირება ზეფიროვისა და დიოგტევის წიგნისა "ყველაფერი ფრონტისათვის"; "ლიუბიანკა. სტალინი და შინსახკომი-უშიშროების სახალხო კომისარიატი-მთავარი სადაზვერვო სამმართველო "სმერში", 1939 წელი-მარტი 1946 წელი. დოკუმენტები. საერთაშორისო ფონდი "დემოკრატია", 2006 წელი).

მაგრამ, აი, სხვა საბუთიც

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 სექტემბრის №79 ბრძანებულების თანახმად, საბჭოთა კავშირის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დიდი სამამულო ომის წლებში სატანკო მრეწველობის განვითარების საქმეში, ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი "ნამგალი და ურო".

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბერიამ 1942 წელს მოლოტოვისაგან გადაიბარა სატანკო მრეწველობა, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა თავი ვერ გაართვა ტანკების წარმოების საქმეს.

ბერიამ ჯერ კიდევ 1941 წელს ჩაწერა საკუთარ დღიურში:

"კობასათვის ახლა მთავარია მივაწოდო ჯარს თვითმფრინავები და ტანკები. ნაღმმტყორცნებიც. შაშხანებიცა და ტყვიამფრქვევებიც. ხალხიც უნდა მივაწოდო".

ითვლება, რომ ბერია შეიარაღების კურირებას სათავეში ჩაუდგა სსრკ საგეგმო კომისიის თავმჯდომარი ნ.ა. ვოზნესენსკის ნაცვლად, 1942 წლის 4 თებერვლიდან, მაგრამ შეიარაღების საქმეთა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე ვ.ნ. ნოვიკოვი (ომის დროს ამ დარგის სახალხო კომისარი გახლდათ დ.ფ. უსტინოვი) მასთან მოხსენებით იმყოფებოდა **ჯერ კიდევ 1941 წლის ივნისში.**

აი, ორდენის კიდევ ერთი კავალერი, დიდი ხნის განმავლობაში საგზაო მიმოსვლათა უცვლელი სახალხო კომისარი ლაზარ მიხეილის ძე კაგანოვიჩი. (ისტორიული ქრონიკების თანახმად მან ჯერ კიდევ 1937 წლის დასაწყისში, მასიური წმენდის გაჩაღებამდე გაანადგურა სახალხო კომისარიატის უმაღლესი და საშუალო ხელმძღვანელთა შემადგენლობა 3 ათასი კაცის ოდენობით).

მაგრამ, მას ეხერხებოდა დამაჯერებელი ანგარიშგება...

"ჩვენ საქმეები არც თუ ცუდად მიგვდის." მოკლედ რომ დავახასიათო სიტუაცია, უნდა გავიმეორო ის, რაც მე და მიქოიანმა ვუთხარით ამხანაგ კალინინს, როცა იგი სოჩაში გაემგზავრა. გამგზავრების წინ მან გვკითხა, თუ რა გადაეცა ბელადისათვის. უთხარით, რომ "სამშობლო და პარტია ისეა დამუხტურლი, რომ მსროლელი ისვენებს, საქმე კი წინ მიდის – არმია ისვრის". ის, რაც ხდება ჩვენს სამშობლოში ხორბლის მოსავლის მიღების მხრივ, ეს დაუჯერებელია, ეს ჩვენი თავბრუდამხვევი გამარჯვებაა – სტალინიზმის გამარჯვება." – ამას კაგანოვიჩი აღნიშნავს.

1941 წლის 18 იანვარს ბერიამ ჩანაწერი გააკეთა:

"გუშინ წარვუდგინეთ კობას და პოლიტბიუროს შემაჯამებელი ჩანაწერი რკინიგზის სისტემაში სამობილიზაციო მზადყოფნის თაობაზე. კობას სახეზე ფერიც კი ეცვალა. შემდეგ აფეთქდა. ყვიროდა, თუ როდის დამთავრდებოდა ეს კოშმარი. მე ხომ არ შემიძლია ყველას ვადევნო თვალყურიო. კაგანოვიჩი თვალებს უაზროდ აფახულებდა, ვოზნესენსკი ისე გატრუნული იჯდა, თითქოს ყოველივე ეს მას არ ეხებოდა. არა და, მას დიახაც რომ ეხება.

მე მათ ველაპარაკე და გავაფრთხილე, რომ საკუთარი ძალებით მოკვლევა არ დაეწყოთ. ჩემი გუნდის წევრი მილშტეინი (სსრკ შინსახკომის მთავარი სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი) გამოიკვლევს ყოველივეს და საქმეებსაც მოაგვარებს. მოაგვარა კიდეც".

სსრკ შინსახკომის ინფორმაცია

ამხ.ამხ. ი.ბ. სტალინს, ვ.მ. მოლოტოვს, ლ.მ. კაგანოვიჩს. რკინიგზის ტრანსპორტის სისტემაში სამობილიზაციო მზადების შესახებ.

17.01.1941 წელი

სრულიად საიდუმლოდ

სსრკ შინსახკომის მასალების მიხედვით, რკინიგზის ტრანსპორტის სისტემაში სამობილიზაციო მომზადების კუთხით არსებობენ ფრიად სერიოზული ხარვეზები. სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატის 1940 წლის 1 იანვრის №CC-70/C1 ბრძანებით განსაზღვრული რკინიგზის ტრანსპორტის სამობილიზაციო გეგმა არ სრულდება. ამრიგად, სადღეისოდ სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატს არ გააჩნია გადაზიდვების სამობილიზაციო გეგმა.

რკინიგზაზე მოქმედი სამხედრო გრაფიკები, რომლებიც შემუშავებულია 1938 წელს, მნიშვნელოვნად მოძველდა და 1939 წლის სექტემბერში, სამხედრო გადაზიდვების განხორციელებისას, აშკარად არ გაამართლა.

სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს შორის დღემდე არ არსებობს ხელშეკრულება სამხედრო გადაზიდვების თაობაზე. სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატი მოითხოვს და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტისაგან მიუთითოს სამხედრო გადაზიდვების მოცულობა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის კი მოითხოვს სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატისაგან მონაცემებს ბრატსკის, კოველსკის, ბელოსტოკის, ლვოვის და ბალტიისპირეთის რკინიგზის გამტარუნარიანობის თაობაზე, რომლის გარეშე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ვერ შეადგენს სამხედრო გადაზიდვების გრაფიკს.

სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატის დაჟინებული მოთხოვნით სსრკ წითელი არმიის გენერალურმა შტაბმა წარადგინა სსრკ საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატში დატვირთვა-გადმოტვირთვისა და რკინიგზაზე სამხედრო ტვირთების მოძრაობის უხეშად კორექტირებული რაოდენობები, რომლის საფუძველზე სახალხო კომისარიატმა შეადგინა სამობილიზაციო გეგმის დროებითი ვარიანტი და გამოთვალა საჭირო ორთქმავლების, ვაგონების, სამხედრო მოწყობილობების და პირადი შემადგენლობის რაოდენობა.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,

(გაგრძელება იქნება)

ᲧᲝᲤᲜᲐ-ᲐᲠᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ...

2018 წლის მიწურულს 25 წელი გასრულდება მას შემდეგ, რაც მუხანათურად მოკალით საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია!

დიახ, მოვკალით, რადგან მკვლელისათვის ხელის არშეშლა მკვლელობის თანამონაწილეობის (თუ ორგანიზების არა) ტოლფასია!

მოვკალით ზვიადი და გვეგონა რომ გვეშველებოდა, მაგრამ როგორც **“გვეშველა”**, ყველანი კარგად ვხედავთ – საქართველო თანდათან იძირება ლიბერასტულ ჭენჭყში, ერი ჰკარგავს ტრადიციებს, ეტრფის დასავლურ სუროგატულ ღირებულებებს, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველი მხოლოდ გვარსახელითაა, მათი ცხოვრების წესსა და მენტალიტეტს საერთო აღარაფერი აქვს ეროვნულობასთან...

ნუთუ ამისათვის მოვკალით ზვიად გამსახურდია?

ხშირად მიბურღავს ხოლმე ტვინს ერთი კითხვა – ვის უნდა შინებოდა ასე ქართული ტრადიციებისა და რელიგიური მრწამსისათვის, რომ ჩვენი სრულიად განადგურება დაესახა მიზნად?

ნუთუ ასეთი ძლიერები ვართ ქართველები, რომ მთელი მსოფლიოს მასონური სამყარო აიყალხა ჩვენს წინააღმდეგ? და რახან ამხელა ძალა დაგვიპირისპირდა, ბუნებრივია, რომ უფულო და გაღარიბებული საქართველო წინ ვედარ აღუდგებოდა მასონთა მილიარდებს!

ამიტომაც იოლად მოახერხეს მათ საქართველოში ზვიად გამსახურდიასთან დაახლოებული პატრიოტის ნიღაბმორგებული ვაიპოლიტიკოს-იუდების მოძებნა, რომელთა ხელშეწყობითაც ჯერ საქართველოდან გააქციეს ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი, შემდეგ სამეგრელოს ტყეებს თავშეფარებულ დევნილად აქციეს და ბალოს მუხანათურად მოკლეს!

როცა გვეგონა რომ გადავრჩით, თურმე მაშინ დავღუპულვართ!

ზვიადის მოშორების სცენარი კი ბევრად ადრე დაიწერა თეთრი სახლის კაბინეტებში, რომლის ერთ-ერთი ავტორი გახლდათ მსოფლიო ისტორიას **“თეთრი მელას”** და იუდას სახელით შერჩენილი ედუარდ შევარდნაძე. იგი იმდენად ბოროტი არსება გახლდათ, რომ საკუთარი სავარძლისა და პრიორიტეტების შესანარჩუნებლად მზად იყო არამც თუ მოწინააღმდეგე, არამედ მომხრეც კი გაეწირა. ეს კარგად იცოდნენ ზვიადის მკვლელებმა და ამიტომ, შევარდნაძის დავალების **“პირნათლად”** შესრულების შემდეგ თავიანთ ორმოც ვერცხლს დახვიეს ხელი და თავქუდმოგლეჯილები გაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

დღესაც ვერ ბედავენ საქართველოში დაბრუნებას, რადგან კარგად იციან, რომ საზოგადოებას უამრავი შეკითხვა დაუგროვდა მათ მიმართ. მხოლოდ ვახტანგ (ლოთი) ქობალია არ წასულა არსად, რადგან მან ყველა შეკითხვას გასცა ამომწურავი პასუხი და სიკვდილის შიშითაც კი არ მიუტოვებია თავისი ოდაბადე. ზვიადის გარემოცვის უმეტესობა კი კვლავ უცხოეთს აფარებს თავს, რადგან საქართველოში ჩამოსასვლელი პირი არა აქვთ.

გაიხსენეთ, როგორი შეძრწუნებულები გარბოდნენ მგლები ტყიდან, როცა ხროვის მეთაურს ტოტიას მოუდეს ბოლო და შეჭამეს.

ზუსტად ასე გაიფანტნენ ქვეყნიდან ზვიადის მოდალატე **“თანამებრძოლები”**. მხოლოდ რამდენიმე მათგანია დარჩენილი საქართველოში, რომელთაც გაუძლეს შევარდნაძის ბანდებისა და **“მხედრიონის”** ფსიქოლოგიურ და ძალისმიერ დაწოლას, არ შეუკრთნენ ციხის პერსპექტივას და დღესაც ერისა და ქვეყნის საქმეს აკეთებენ.

“კარგი მეგობარი სჯობია კარგ ნელსაცხებელს და სიკვდილი სჯობია დაბადებას” – ამბობს ბერძნების მიერ ეკლეზიასტედ სახელგადარქმეული, ტომით ებრაელი, სოლომონ მეფის ძმა კოჰელეთი. ზვიადის ცხოვრების წესი და აღსასრული გახლავთ ამ გამონათქვამის რეალური ასახვა. და თითქოს უფალი შემოგვწყრა მას შემდეგ, რაც ღირსეული ადამიანი მოვაკვდინეთ და ასპარეზი უღირსებს დავუთმეთ – ზვიად გამსახურდიას შემდეგ ქვეყანას მართავდა მაოხარი გზირი და ფულზე სულგაყიდული, დაუნდობელი არაკაცი ედუარდ შევარდნაძე, შევარდნაძისავე ხელშეწყობით და **“ვარდების რევოლუციად”** მონათლული საერთაშორისო აფერის წყალობით იგი შეცვალა შეურაცხადმა ნარკომანმა, ტომით სომეხმა დაშნაკმა მიხეილ სააკიანცმა, რომელსაც კარგ მეგობრებსაც კი ნელსაცხებელი და კბენითი მასაჟი ერჩივნა. ახლა კი პრეზიდენტად გვიზის სრული არარაობა, თავისი პოლიტიკური გუნდის გადამგდები ნაძირალა, მკვლელი და ნარკომანი საკუთარი ნათესავების შემწყალებელი გიორგი მარგველაშვილი.

საინტერესოა, როდემდე გაჰყვება საქართველოს მამაზეციერის წყევლა და გულისწყრომა?

ალბათ მანამდე, ვიდრე დანაშაულს არ მოვინანიებთ...

ზვიად გამსახურდია იმიტომ არ უყვარდა მის თანამედროვე პარტელიტას, რომ იგი უკიდეგანოდ განათლებული მეცნიერი გახლდათ და კარგად უწყოდა ქართველი ადამიანის ბუნება, მისი პატრიოტული განცდები, სამოქალაქო სულისკვეთება... ეს კი ძალზე საშიში გახლდათ იმ გაუნათლებელი პარტნომენკლატურისათვის, რომელსაც ფეხებზე ეკიდა ეროვნულობა, უეროვნებო და უბილეთო მგზავრად იყო აკიდებული საქართველოს ისტორიის ლოკომოტივს და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა.

განა დღესაც ასე არ არის?

ზვიადი იმიტომ არ უყვარდა გადაგვარებულ პარტელიტას, რომ იგი დიდი კონსტანტინეს შვილი იყო და გამართული გენეტიკა ჰქონდა, უჯიშო, უმეცარი და ბნელი შევარდნაძისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ გლეხური ცბიერებით მიიკვლევდა გზას კარიერის შავ-ბნელ ლაბირინთებში. რაც შეეხება დაშნაკ სააკიანცს, როგორც კი საქართველოში მეფის ინსტიტუტის აღდგენაზე დაიწყეს საუბარი, ამ სამარცხვინო არსებამ საკუთარი საგვარეულოს ბაგრატიონებთან კავშირის მტკიცება დაიწყო...

ჩვენი ბრალია – როცა არამზადას საკუთარ ადგილს არ მიუჩენ, მასში მყისვე იფეთქებს პრეტენზია შენი საცხოვრების კუთვნილებაზე!

ზვიადი არ უყვარდა პოლიტელიტას იმიტომ, რომ წელში გამართულმა შემოაბიჯა ქართულ პოლიტიკაში და მხოლოდ საკუთარი ნიჭითა და შემართებით, ყოველგვარი ფულადი და პოლიტიკური დახმარების გარეშე დაიპყრო ქართული პოლიტიკური ოლიმპი. პარტელიტა კი მილიონებს ახარჯავს თავიანთი უნიჭო ფავორიტების აღზევების საქმეს, მაგრამ ხშირად არაფერი გამოსდით.

ახლა კი თანდათან ვივიწყებთ საქართველოს წამებულ პრეზიდენტს. მხოლოდ სახალხო მოძრაობა “სამეგრელომ” გაიხსენა სულმნათი ზვიადი, როცა მოძრაობის თავმჯდომარემ, ცნობილმა პოლიტიკოსმა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ საკუთარი სახსრებით დაუდგა ძეგლი ქალაქ ზუგდიდის ცენტრში საქართველოს პირველ და უკანასკნელ კანონიერ პრეზიდენტს სულმნათ ზვიად გამსახურდიას. სამწუხაროდ, მადლობა არავის უთქვამს. ის კი არა, შხამიანი ისრებიც კი დაგვადევნეს ავად აყარყაშებულმა მოშურნეებმა – თქვენ ვინ გკითხავთ ზვიადისათვის ძეგლის დადგმასო!

მართალია, მე სიტყვა გამექცა, მაგრამ დასახული ვერაგული გეგმიდან ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ წითელ კრიმინალურ ინტელიგენციას.

მასონებმა უპირველესად გააკეთეს ის, რომ ბზარი გააჩინეს ჯერ კიდევ მძლავრ კომუნისტურ საზოგადოებასა და პრეზიდენტს შორის – აქაოდა პრეზიდენტი დაჯავშნული **“მერსედესის”** მარკის ავტომანქანით დაბრძანდებაო. ის კი არავის უთქვამს, რომ საკმაოდ ამორტიზებული და დაჯანჯღარებული “მერსედესი” ნაჩუქარი იყო და მასში ბიუჯეტიდან კაპიკი არ გადახდილა.

მაგრამ, ბრბოს (დიახ – სწორედაც რომ **“ბრბოს”**) ხომ ჭეშმარიტებას მისთვის მისაღები სიცრუე ურჩევნია!

შემდეგი ბრალდება იყო ნეპოტიზმი, მაგრამ ლუპითაც რომ დავაკვირდეთ, ზვიადის პერიოდის ხელისუფლებაში პრეზიდენტის ნათესავი არავინ იყო. ჩემი ნათესავები და მეგობრები უფრო ჭარბობდნენ ხელისუფლებაში. თუნდაც ბესარიონ გუგუშვილი, ნოდარ წულეისკირი, ცუგო ხელაშვილი, დავით ქობალია და სხვები. მაგრამ მე ისინი არასოდეს შემიწუხებია პირადული პრეტენზიებით. მხოლოდ კრწანისის რაიონის პრეფექტს დავით ქობალიას წარვუდგინე ლიტერატურული კაფეს შექმნის წინადადება, რაზედაც იგი სიამოვნებით დამთანხმდა და შენობაც გამოგვიყო, მაგრამ, სამწუხაროდ ვერ მოვასწარით...

ასე თანდათან გადაამტერეს და დაუპირისპირეს ზვიად გამსახურდიას ქართული საზოგადოების ნაწილი სისხლზე და ფულზე დაგეშილმა მასონებმა და მათმა წარმომადგენელმა საქართველოში ედუარდ შევარდნაძემ. რჩებოდა ბოლო, თითქმის ფორმალური აკორდი – სასხლეტისათვის ფეხის გამოშლა...

არც ამის შემსრულებლის მოძებნა დასჭირვებიათ მასონებს – შორს არ წასულან და ამგვარი მოხალისე თვით ზვიად გამსახურდიას ახლო გარემოცვაში მოძებნეს!

“მოკლავენ” – ამოიკვნესა დედა ეფემიამ, როცა თვალით გააცილა ცხენზე ამხედრებული დათა თუთაშხია.

“მოკლავენ” – ალბათ იმქვეყნიურ საქართველოში ბორგავდა დიდი კონსტანტინეს სული, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ინტერესების საზიანოდ ზვიადი ნაბიჯსაც კი არ გადადგამდა და ქვეყნის იდეალებს უსიტყვოდ შეეწირებოდა.

“უნდა მოვკლათ” – ბობოქრობდა სატანა და რადგან სატანისტებმა კარგად იცოდნენ, რომ მერაბსა და ზვიადს ერთად ვერ მოერეოდნენ, ჯერ მერაბ კოსტავას მოუსწრაფეს სიცოცხლე.

იცოდა, კარგად იცოდა ზვიადმა, რომ მერაბის შემდეგ მჭიდეში უკვე მისი მოსაკლავი ტყვია იყო ჩადებული, მაგრამ წამითაც არ შეუხრია წარბი და არ დაუხევია უკან.

იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა!

ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ განა სხვა რამეა?

ნუ დავინანებთ ამ თიკუნს სულმნათ ზვიად გამსახურდიასათვის!

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲡᲐᲯᲘᲜᲘᲑᲝ

ნერონის სენატორ ცხენის
შთამომავლობა მომრავლდა
და რადაც ძალამ შავბნელმა,
ის საქართველოს მომადლა.
დათვლა არ უნდა, ისეც ჩანს,
არც მეტი, არც ნაკლებია,
მთავრობა ხელში ჩაიგდეს,
აავსეს პარლამენტია.
თავლა აიგეს ბრწყინვალე,
ბოგა დაიდგეს ოქროსი,
რომ ჰკითხო, ყველა წმინდაა
ქალწულობა აქვთ გოგოსი.
თბილისი აღარ იკმარეს,
ქუთაის-ქალაქს გაფრინდნენ,
„დიდება“ ყურად არ იღეს,
აეროდრომზე დაფრინდნენ.
არად ჩააგდეს თვისება –
გაფრთხილებანი ჭინჭრისა,
არც მკერდზე ხელის დადება
წინაპართ დაფიცებისა.
კაცთა გარეშე შეცვივდნენ,
არ დახვდათ მცველი ჭიშკრისა,
ცას მიწვდინეს გოდება
უმწეო დედა-შვილისა!
მიცვივდნენ პირსისხლიანი,
ატეხეს რია-რიალი,
და „საქართველოს დიდების“,
დაამხეს მემორიალი.
ხანი საკმაო გავიდა
ამ საზიზღრობის თმენისა,
მაგრამ ჯერ არვინ გამოჩნდა
გამქარვებელი წყენისა.
ახალშობილი ქართველი
პირს არ აკარებს ძუძუსა,
საიქიოდან ხმა ისმის
მამა-პაპათა რისხვისა!
„სადა ხართ, ივერთ ბიჭებო,
არ გაწყდა ძარღვი თმენისა?!
არ გეყოთ, კბენა და ძიძგნა,
სიხლის და ხორცის – ძმებისა?!“
დღეს დიდი ფერმა შეიქმნა,
საცხოვრებელი რემათა,
ერთურთის გვერდით სადგომად,
სასიამოვნოდ ჭრდალთათა.
გამრავლებულა ჭაკი, და
გვერდით მოუსვამს კვიცნია,
მათ შორის მრავლად ურა და
ფაშატი ამომიცვნია.
სარემაესა აჯილღას
გვერდით უდგანან ტაიჭნი,
სახედრად ბევრი გამხდარა,
იცის, ამით თავს არ ისჯის.
ბევრია ჰუნე, ჯინიბი,
თავსა ეძახის მარქაფას,
რემა და გერმეც დიდგულობს,
ჯორთან არიან ბარაქად.
ვირთა და ჯორთა შვილობა
ჩვენთან გამხდარა მუწუკი,
თუმცა ქართველებს ფერებით,
დაურქმევიათ მუტრუკი.
დაჯაბნებული მონები –
ჩვენ, მათი აღსაჯდომლები,
ისევ ქართულად გახსენებთ, –
ვართ ყველა კარაულები.
ვინადაც გავჩნდი, მად დავრჩი,
არ შევარცხვინე ჯიშია,
საკუთარ თავსაც არ ვინდობ,
მით ვარ უწყალო ჯიქია.
საპარლამენტო კომიტეტს,
ყველა ამ სიტყვით მივმართე,
მაგრამ სირცხვილს რომ დაკარგავ, –
ამას მარტო არ იკმარებ.
ჰეი შენ, ქართველთა მოდგმავ!
კისერს მოიხსენ უღელი,
შიში განდევნე – არ გშვენის –
გახდი იესოს ჯგუფელი!
ნუ დაგიჯაბნებს ეშმაკი,
ქვეყნად არა ვართ მარტონი,
არ მიატოვებს მამა შვილს,
ღმერთია ჩვენი პატრონი!
ძე ღვთისას, მშიერს, რომ უთქვამს, –
განა უბარალოდ წამოსცდა,
დაიმახსოვრე ნათქვამი –
„მამას არ უნდა გამოცდა!“

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲯᲘᲫᲘᲐ

მერაბ კოსტავას პოეზია

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული „მადლთა ბარძიმი" იგივე გრაალის თასია. ქართულ ფოლკლორში წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოღებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული... ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. ,,ვეფხისტყაოსანიც" გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან".

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

,,სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მეინიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს ქართველებთან ერთად შესაძლოა ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს".

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში „პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე," ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13ს) თავის პოემას „ახალი ტიტურელი" უწოდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოტერული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღმართულ გრაალის კოშკს თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი. არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის იდენტურობის შესახებ. გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი. გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში" - ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში...

გალაკტიონ ტაბიძე იყო სულიწმინდის მადლით ცხებული პოეტი და ბუნებრივია გრაალისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი.

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პოეტი მოწმე გახდა ღირებულებათა გადაფასების, სულის გაუდაბურების, ტირანიის, ანტიქრისტეთა ლეგიონების თარეშის. ქართველი კაცი გაუუცხოვდა უფალს, უდანაშაულოთა სისხლით და ცხედრებით აივსო ქუჩები, რეპრესირებულ იქნენ ერის საუკეთესო წარმომადგენლები. გაუგონარი უსამართლობით გულმოკლული პოეტი მამაღმერთს – "თიბათვის მზეს" ევედრებოდა ძე ღმერთის მოვლინებას, რათა გადარჩენილიყო სიყვარული.

თიბათვის მზესთან მუხლმოყრილი, გრაალის ორეულად ქცეული, ანუ სულიწმინდის მადლით ცხებული პოეტი ლოცულობს მხურვალედ, რათა გადარჩეს მისი სიყვარული: ,,მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები."

გულწრფელი სტრიქონები ლექსისა ფსალმუნის ავტორის ღაღადისს ეხმაურება თითქოს: „ღმერთო, შემინახე თვალისჩინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ დამიფარე ბოროტთაგან, რომელნი თავს მესხმიან, მტრებისგან, გარს რომ მერტყმიან სულის ამოსახდელად".

მამაღმერთის მეოხებით სწადია გალაკტიონს უბედურების ჟამს მამისმიერი სულის-სულიწმინდის მოვლინება უმანკოთა მშვენიერი სულის შესანარჩუნებლად: „ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენმიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი." ლექსის „თიბათვის მზე" მამაღმერთია, მისმიერი სული – ქრისტე.

მამაღმერთის სიმბოლოდ მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს „თიბათვის მზე".

ლექსში „მზეო თიბათვისა" ნახსენებია ქრისტიანული სამების სამივე წევრი: ღმერთი (თიბათვის მზე), სულიწმინდა (სული მოუვლინე ისევ შენმიერი) და ძე ანუ ქრისტე („ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები").

სტრიქონი – „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები" ასე უნდა წავიკითხოთ: ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს სისხლით სავსე თასს ვგავარო" (აკაკი ბაქრაძე, „რას ნიშნავს თიბათვის მზე?".

„თიბათვის მზესთან" დაკავშირებით კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს მეცნიერი: „პოეტი ღმერთს... სულიწმინდის მოვლინებას ევედრება („სული მოუვლინე ისევ შენმიერი"), სულიწმინდის მოფენის დღე კი 14 ივნისია (ძველი სტილით 1 ივნისი). ივნისი ხომ ქართულად თიბათვეა!".

აშკარაა, მამაღმერთის წინაშე „ლოცვად მუხლმოყრილი" პოეტი გრაალს ედრება, ანუ თავის სულში სულიწმინდის დავანებას გვამცნობს.

მხოლოდ ციური სულით არის შესაძლებელი მშვენიერების გადარჩენა, ამაღლება, თავისუფლების მიღწევა: „უფალი სულია, ხოლო სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება."

უკეთურობის, გაუტანლობის პერიოდში შემთხვევითი როდია სულის ნატვრა, რადგან „სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება" (პავლე მოციქული გალატელთა მიმართ.

ლექსის ფინალში კონკრეტდება შინაარსი ეპოქისა, რომელიც გამოირჩა სისხლით, ცხედრებით, ქარტეხილებით და ბუნებრივია პოეტის სურვილი, ბოროტებამოძალებულ დროში გადარჩეს სასურველის ნათელი სული: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!".

ასე დაუპირისპირდა გალაკტიონის თანამედროვეობაში ერთმანეთს გრაალი, დიდი სიყვარული, უმანკო სული და ხანი უნდობარი, სისხლი, ცხედრები, მძაფრი ქარი.

არასწორი იქნებოდა იმ ლექსის დაკავშირება უცხოურ ტრადიციებთან. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, იგი მიძღვნილია ოლია ოკუჯავასადმი, შიშია მეგობრის მომავალზე, ვედრებაა სიყვარულის გამარჯვებაზე. ამიტომაცაა ასე გულწრფელი და სულისშემძვრელი მუსიკად ქცეული ტკივილები სულისა. გალაკტიონის დროს ბევრჯერ იზეიმა ბოროტებამ, ძალმომრეობამ. ღმერთის საბოლოო სიკვდილისა და ცრუ ბელადების გაღმერთების იდეაც ამ ეპოქის გამონაგონი იყო. უჭირდა სიკეთეს, სიმართლეს, დრაკონის ნაშიერები ცდილობდნენ რელიგიური მრწამსის, გრაალის იდეალის ჩაკვლას. იტანჯებოდა პოეტების მეფე, იმსხვრეოდა გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო, უგულებელყოფილი იყო ციური ოცნება, კაცთა გაუგონარი მკრეხელობით კვდებოდა ვარდები და ქარვათა მორევში სამუდამოდ ეშვებოდა ფარდა. ანგელოსის პერგამენტზე ეწერა უმძიმესი განაჩენი: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე, თვალებით მიწას დაპყურებდა. მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე, ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა! ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთაოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე! გრაალის კოშკები, ლიდიის სამრეკლო შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა."

ფითრდებოდა თვით ღვთისმშობელი, რომლის სიმბოლოა "ღრუბელი ფერადი" ციური ოცნების უხეში დაგმობით შეძრწუნებული იყო ძე ღმერთი – "ალვა თანადი". უიმედობა, ტკივილები და სამუდამო დამშვიდობება იყო ყოველივეს ფინალი: "ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები, საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!"...

გალაკტიონი მზად იყო, სისხლით ეწერა, ყოფიერების შხამიანი თასი დაეცალა, სიკეთისათვის სიცოცხლე გაეღო ქრისტესავით და გრაალის ბარძიმი გაევსო საკუთარი სისხლით, რაც მისი უკვდავების საწინდარი გახდა.

უდავოა, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედების ცენტრალური თემა იყო რწმენა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის, უმაღლესი რელიგიური ფასეულობების განუხრელი მსახურება. სამწუხაროდ, დაკარგულია მისი ოთხი კრებულის ხელნაწერები, რელიგიური პოემები. ძნელია მტკიცება, ჰქონდა თუ არა საკუთრივ გრაალზე ტერენტი გრანელს რამე დაწერილი, მაგრამ მისმა თანამედროვეებმა იგი მაინც გრაალის ორდენის ერთგულ რაინდად წარმოიდგინა.

პოეტის მეგობარი კონსტანტინე გაჩეჩილაძე (კონნე სპერელი) ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმს – გრანელი – გრაალს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ეს კეთილხმოვანი სიტყვა მიღებულია გრაალისგან: გრაალი – გრაალელი – გრანელი...

ათეისტურ მეოცე საუკუნეში სხვებსაც ენატრებოდათ გრაალი, მაგრამ ამ იდეალის გაუჩინარება ფაქტი იყო, რაც სევდით მსჭვალავდა მის მაძიებელს.

ზვიად გამსახურდიას თეორიულ ნააზრევზე, გრაალთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი. მან პოეტურ ასპექტშიც გამოავლინა ამ სახის წყურვილი და დააფიქსირა სავალალო სურათი: ქიმგაბზარული გრაალის კოშკი, სიბრძნე – ათენა შავი ყორნით და დემონების გაბატონება: "ვით შედამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს, ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული. გრაალის კოშკი შორით მოჩანს ქიმგაბზარული, პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რებულს "შავი ყორანი აზის თავზე" და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილწი არული".

პოეტს ეზმანება გველეშაპების და ცისიერთა ბრძოლა, ესმის კენტავრების აურზაური, ახსენდება მონსალვატი, რომელიც ცისებრ სალუქი სულის უნაზეს ფოლიანტებს ააშრიალებს და მონსალვატზე დავანებული საგანძურის ნატვრას წარმოშობს: "ბველეშაპები იწვოდნენ ცაზე... ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა... და შემოგესმა კენტავრების აურზაური. მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული დაინთქა ლექსი და ამ ნალექსში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები". ლექსი ეძღვნება კონსტანტინე ჭიჭინაძეს და ამჯერად იგია გრაალის რაინდი, მონსალვატის საუნჯის მაძიებელი.

მონსალვატი არის "მთა ხანისა", მწვერვალი, რომელიც მდებარეობს შორეულ ნაპირზე, ...მიუწვდომელ მხარეში, შუაგულ ზღვაში, რომლის უკან მზე ამოდის... ეს არის უკვდავების მიწა რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ". სხვაგან ზვიად გამსახურდია ღმერთს მიმართავს: "მეუფევ, შენი ბარძიმია სამყარო", მაგრამ აქაც სევდაა, რადგან "გუმბათგადახდილი გაირღვა ტაძარი, ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა". მერაბ კოსტავასადმი მიმართულ სტრიქონებში ივერიის ცაზე ღმერთის, ბარძიმის გაბრწყინების სურვილია: "დე, ელვარებდებდეს ივერთა ცაზე მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა...".

მერაბ კოსტავას პოეზიაში გამორჩეული ადგილი ეთმობა გრაალის თემას.

ლექსში "ძმას ქრისტესმიერს", რომელიც ზვიადს ეძღვნება, ნაწარმოების ადრესატი წარმოიდგინება პარსიფალის ნახევარძმად, ტაძრელად, გრაალის მცველად: "...ხარ მწირი თამარ დედოფალისა საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი, თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული".

ცნობილია, რომ 1118 წელს, იერუსალიმში შეიქმნა ტამპლიერთა სამხედროსასულიერო ძმობა, რომელიც თავის თავს "მეტაძრეთა" ორდენს უწოდებდა, რადგან მათი თავშეყრის შენობა აგებულ იქნა უშუალოდ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ლეგენდარული სოლომონ ბრძენის ტაძარი იყო აღმართული.

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში ეკიდა სურათი, რომლის კომპოზიცია ტამპლიერთა ცხოვრების ერთ ეპოზოდს გადმოგვცემს. ამ ორდენის წარმომადგენლებმა ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე.

1314 წლის 18 მარტს საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზისა და მისი დამჯერე პაპის – კლიმენტი V შეთანხმებით, ინკვიზიციური პროცესი აღიძრა და სიკვდილით დასაჯეს კოცონზე მეტაძრე-ტამპლიერთა ორდენის უკანასკნელი მაგისტრი იაკობ მოლე, რითაც ფაქტიურად დაასრულა ორდენმა თავისი არსებობა (8,228).

"დიდგორში" მერაბ კოსტავა ეხება დავით აღმაშენებლის სასწაულებრივ გამარჯვებას, მეფის სახელთან ბარძიმის დაკავშირებას, რადგან დავითი გრაალის მცველად მიიჩნეოდა: "აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა, აღსავლის კარიდან აღსტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ – ბარძიმი. (20,10).

ლექსში "გალაკტიონი" მერაბ კოსტავა პოეტების მეფის წუხილის უმთავრეს მიზეზად სამართლიანად მიიჩნევს გრაალის, მონსალვატის მიუწვდომლობა-გაუჩინარებას: "...ყველა დროების პირველ პალადინს, რამეთუ გფერფლავს, ვითარცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეუღწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის"...

"გრაალის" მიმდევარს მოეთხოვება უმაღლესი კეთილშობილებისა და სიწმინდის პრინციპების დაცვა, ნათელი გონება და სუფთა გული; გახდეს ჭეშმარიტების დამცველი, კადნიერი მსახურება შეცვალოს თავმდაბლობით, უშიშრად შეავიწროვოს სიყალბის სული და აღადგინოს თავის თავში სიტყვა (ლოგოსი). მხოლოდ იშვიათ რჩეულთ ეძლევათ ღირსყოფა გრაალის საიდუმლოებისა. გრაალი თვით უხმობს მათ. ეშენბახის მიხედვით, ფრაგეტანი გრაალის სახელს კითხულობდა ცის გუმბათზე (8,231).

"გრაალის რაინდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც შეიცნო პირველცოდვის სიმძიმე და რომელიც მოკრძალებით მიმართავდა "სრულ სამ – მზეს", რათა "სულის მხედველობით" ეხილა უფლის ნათელი და ამ "ნათელის" განმტკიცებისათვის თვით ეტვირთა ჯვარი" (8, 232).

პოეტი წარსული დიდებით ინუგეშებს თავს, რადგან საქართველოც იყო ერთ დროს "ისტორიის უმძლავრესი კოლოსი" დავით მეფის დიდების დროს, როცა გელათს ამშვენებდა გრაალი: "საქართველოსაც ხომ ერგო რიგი, ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს, საოცრებათა გრაალი იგი, წმინდა გელათში იყო სულ ბოლოს. ჩვენი კაცობის დამამშვენებელს, ვინც იყო ჩვენი დიდების ჭერი, ხელთ ეპყრა დავით აღმაშენებელს, მეფე-მღვდელმთავარს ქართველი ერის" (18, 11).

მერაბ კოსტავა თავის უდიდეს სტატიკურს, ეჭვებს უზიარებს პოეტების მეფეს, რადგან ათეიზმის ზეობის ჟამს დადუმებულია წმინდათა სავანე, ბურუსშია მომავალი: "მოვდივარ შენთან, როგორც მავანი, მარქვი, მგოსანო, რატომ მდუმარებს ღირსთა მამათა წმინდა სავანე? ნუთუ დაგვეხშო აღსავლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა? რამეთუ ვუწყით, მეტყველი არი, ერთობ მჭევრია საგანთა ენა. რადგან უწყიან იქაც, მიწაზეც, ვისთვისაც ჯერ არს, ყველამ იციან, ბარძიმი იქ არს, იმასთან ცაზე, გალილეია ვინც აირჩია" (21,4-7).

ლუარა სორდია,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ "ᲚᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ"

გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"** განაგრძობს საუბარს ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანთან, გენერალ–მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ბატონი ვახტანგი ამჯერად 1970-იანი წლების გახმაურებულ საქმეზე საუბრობს. **"ლაზიშვილების საქმე"** – ეს იყო ყველაზე სკანდალური პროცესი საქართველოს უახლეს ისტორიაში; პროცესი, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, 126 ადამიანს დაეკისრა პასუხისმგებლობა

– პოსტსტალინური სოციალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი იყო სამეურნეო დანაშაულები, თუმცა სტალინის მმართველობის პერიოდში ასეთი დანაშაული გავრცელებული არ იყო. სამეურნეო დანაშაულზე რომ ვლაპარაკობ, ვგულისხმობ, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ქონების დატაცებას. სტალინის პერიოდში **"საქმოსნებს"** არ ჰქონდათ მოქმედების არეალი, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედების პოლიტიკა გამორიცხავდა **"საქმოსნების"** მასობრივ აქტივობას. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვი მოვიდა და დაიწყო ე.წ. დათბობის პერიოდი, ანუ მეტი თავისუფლება იგრძნეს **"საქმოსნებმა"**; მათ ნახეს, რომ ცხოვრება **"უკეთესად"** შეიძლებოდა და დაიწყეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება.

მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობების საწარმოებში ხდებოდა ოფიციალური გეგმის შესასრულებლად გამოშვებული პროდუქციის პარალელურად აღურიცხავი პროდუქციის მასიური გამოშვება, რომლის რეალიზაციის შედეგად ამოღებული თანხები დამნაშავეთა ჯიბეში მიდიოდა. სამუშაო სრულდებოდა 50-70%-ით, დანარჩენს ჯიბეში იდებდნენ, მიდიოდა ე.წ. მარცხენა პროდუქციის გამოშვებაზე. მუშებს ეძლეოდათ ორი ხელფასი: ერთი – ბუღალტერიაში, თანაც მწირი; ხოლო მეორე ხელფასი ეძლეოდათ პირველ ხელფასზე ორ-სამჯერ მეტი. ამ დანაშაულში თითქმის მთლიანად იყო ჩათრეული მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სისტემები, ასევე, სხვა საწარმოებიც.

ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში დაიწყო სისტემის ლპობა, ორმოცი წლის შედეგ ამას რა შედეგი მოჰყვებოდა, იმხანად ყველასთვის წარმოუდგენელი იყო.

სამეურნეო დანაშაულებს შლეიფივით მოჰყვებოდა მკვლელობები, ყაჩაღობები, ძარცვა ამ ფონზე მრავალრიცხოვანი კლანების შექმნა სისტემისთვის დამახასიათებელ ქრონიკულ დაავადებად აღიქმებოდა და მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევდა, ოღონდ იმ მოსახლეობის, რომელსაც შემოსავალი არ ჰქონდა, **"მეორე შემოსავლის"** მქონენი კი კმაყოფილი იყვნენ

აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა მოსახლეობის მზარდი კრიმინალიზაცია. ვინც **"მეორე შემოსავალს"** იღებდა, ავტომატურად კრიმინალი ხდებოდა; ხოლო, ვისაც არ ჰქონდა შემოსავალი, ის ძარცვავდა, ყაჩაღობდა და მდიდარს არომევდა. პროცესი შორს რომ იყო წასული, უფრო ნათლად დავინახეთ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როდესაც ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის, საქართველოშიც, კრიმინალებმა უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია გამოთქვეს. მხედველობაში მყავს "მხედრიონელები". ასე მოხდა ყველგან, მაგრამ პროცესები ისე შორს არსად წასულა, როგორც საქართველოსა და ტაჯიკეთში.

იმხანად, როდესაც მომძლავრდნენ **"საქმოსნები"**, სისტემა მეტ-ნაკლებად ყველაფერს აკეთებდა, ადმოეფხვრა ეს უმსგავსობა. საქართველოში 1960-იანი წლებიდან დაიწყო ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ.

ამისთვის აუცილებელი იყო, დადგენილიყო ის წყარო, რომლიდანაც მოდიოდა აღურიცხავი პროდუქცია და საქონელი. თანდათან უარესდებოდა პროდუქციის ხარისხი. პირობითად, თუ რომელიმე პროდუქტის გამოშვებას სჭირდებოდა ხუთმაგი ძაფი, ესენი ორ-სამს აკლებდნენ, ანუ 30-40%-ს იპარავდნენ. ფესვები ისე ჰქონდათ გადგმული, რომ სტანდარტის შემმუშავებელ ორგანოებშიც კი ახერხებდნენ მათთვის საჭირო პირობების შეტანას. ამის შედეგად, საწარმოს სიმძლავრეები ოფიციალურად იგეგმებოდა ნაკლები პროდუქციის გამოშვებაზე, ვიდრე ფაქტობრივად შეეძლო. პირობითად, თუ შეეძლო საწარმოს მილიონი ერთეული პროდუქციის გამოშვება, წერდნენ ნახევარ მილიონს. მოკლედ, სტანდარტი დარღვეული იყო იქაც, სადაც თეორიულად მუშავდებოდა საწარმოო პირობები.

საქართველოში ბევრი გახმაურებული დატაცება მოხდა. იმხანად შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი ვიყავი, ახალგაზრდა კაცი. ბევრი საქმე ჩემი გამოძიებულია ან ჩემი მონაწილეობით. ერთ-ერთი გახმაურებული საქმე სრულიად შემთხვევით მოხვდა ჩემთან – ე.წ. ცხაკაიას ხაოანი ქსოვილების საქსოვი ფაბრიკის, ანუ ასიათასობით მანეთის დატაცების საქმე. მას შედეგ, რაც ირწმუნეს, რომ რაღაცის გაკეთება შემეძლო, თითქმის ყველა საქმე, 1966-დან 1972 წლის ჩათვლით, ჩემი გამოძიებულია ან გამოძიების პროცესში ვმონაწილეობდი.

1970 წლის 29 მარტს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისის სინთეზური ნაკეთობების ფაბრიკის თანამშრომლების მიმართ. ფაბრიკა უზარმაზარი იყო და უშვებდა მილიონობით მანეთის ღირებულების პროდუქციას. დირექტორი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი პოლკოვნიკი, სასჯელაღსულების დაწესებულების ყოფილი უფროსი შალვა იესეს ძე ჭეიშვილი, მთავარი ინჟინერი – რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი გიორგი ერასტის ძე მაცაბერიძე. ჩვენი მიზანი არ იყო ჭეიშვილისა და მაცაბერიძის მხილება, ჩვენ გვინდოდა ერთი სკანდალური პიროვნების დაკავება, რომლის სახელთანაც იყო დაკავშირებული ყველა ის სამეურნეო დანაშაული, რომლებიც რესპუბლიკაში ხდებოდა. ის გახლდათ ოთარ გიორგის ძე ლაზიშვილი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა. მძღოლი იყო, ადრე დაატარებდა ვინმე შმუკლერს, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ლაზიშვილმა არჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა და

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ...

მართალია სხვადასხვა დროს მეგრული ენის თემატიკის გარშემო მრავალჯერ მაქვს ჩემი მოსაზრებები გაცხადებული, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც ეს არის უაღრესად აქტუალური საკითხი, კიდევ ერთხელ, ოღონდ ძალიან მოკლედ მსურს დავაფიქსირო ჩემი პოზიცია!

გულწრფელად ვიტყვი, რომ ნამდვილად მოსაბეზრებელი და ამაზრზენიცაა მუდმივად კორდონებს იქით თითის გაშვერა!

არ დავმალავ და უკვე ყელში ამომივიდა მავანთაგან ბრიყვულად თუ პროვოკაციულად აპელირება იმაზე, რომ „ეს უნდა კრემლს!" „ეს უნდა ბრიუსელს!" „ეს უნდა ვაშინგტონს!"...

ჰოდა, მე მაქვს ღია შეკითხვა: თბილისს რა უნდა?! ქართულ სახელმწიფოს რა უნდა?!

ამაზე აუცილებლად და თანაც დროულად უნდა მივიღოთ პასუხი!

მეც და უამრავი ჩემი იდეური თანამოაზრეც აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ ზოგადქართველურ, საერთოეროვნულ სახელმწიფოებრივ კონტექსტშია ეს ყველაფერი გადასაწყვეტი!

ამისათვის აუცილებელია, რომ ხელისუფლება-მთავრობამ და შესაბამისმა სტრუქტურებმაც საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით და მონაწილეობით სკრუპულოზურად შეიმუშავონ კომპლექსური ღონისძიებების პროგრამა!

ამ პროგრამაში უნდა ჩაიდოს ქართველურ, ანუ კოლხურ-იბერიულ ენათა დაცვა-განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო გარანტიები და სტრუქტურული მექანიზმები!

დიახ, ეს აუცილებელია რათა გაქრობის საშიშროების წინაში მდგარი ენები გადავარჩინოთ!

მხოლოდ უგუნურს და ჩვენი ერთიანობის შეგნებულ თუ შეუგნებელ მტერს შეუძლია ამის გამო სეპარატისტობა დაგვწამოს!

პირიქით, ვინც ამ პრობლემის ამგვარად გადაწყვეტის წინააღმდეგია – სწორედ ის არის კოლხურ-იბერიული ცნობიერებისაგან განდგომილი სეპარატისტიც, აგენტიც და პროვოკატორიც!

სხვათაშორის ეს ეხება ყველას!

ეს ეხება ერს!

ეს ეხება ბერსაც!

ასე რომ, უპრიანია, სწორედ ამ მიმართულებით გაისარჯოს თითოეული ის ადამიანი, ვისაც პატრიოტობაზე აქვს პრეტენზია!..

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐ „ᲯᲐᲜᲣᲚᲝᲡᲐᲕᲘᲗ" ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲠᲐᲛᲓᲔᲜᲔᲓ...

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თავიდანვე მოვჭრი: ჩვენი სამშობლოს სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების დაცვაზე ორიენტირებულმა ადამიანებმა შეიგნონ კონსოლიდირების აუცილებლობა.

მესმის, რომ მავანმა და მავანმა ნებსით თუ უნებლიედ ბევრი რამე დააშავა საკუთარი თანამემამულეების, საკუთარი ქვეყნის წინაშე... მესმის, რომ ძალიან დიდი წყენაა დაგროვილი... მესმის, რომ ძნელია ყველას ყველაფერი ეპატიოს...

დიახ, ეს ყოველივე კარგად მესმის, რადგან მეც ამ ქვეყანის უახლოეს ისტორიაში განვითარებული კატაკლიზმების ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ... მაგრამ, ჩვენ ვისაც მართლა გული შეგვტკივა სამშობლოს ბედზე, ვისაც გააზრებული გვაქვს სიტუაციის ტრაგიკულობა, უნდა გვესმოდეს ისიც, რომ ახლა „ისტებად" დაყოფის უფლება ჩვენ ნამდვილად არა გვაქვს...

მომიტევეთ პათეტიკური ტონის გამო, მაგრამ მართლა იღუპება ჩვენი საყვარელი ერი და სამშობლო... ცოტაა, ძალიან ცოტაა მისი გადარჩენის შანსი... ასე რომ, ვისაც პატრიოტობაზე აქვს პრეტენზია, ვისაც მისი გადარჩენის სურვილი ამოძრავებს, კეთილიც უნდა ინებოს და ერთიანობის აუცილებლობაზეც გაისარჯოს...

უკვე ვთქვი, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა მკაფიოდ განვმარტო, რომ მე არ ვქადაგებ განურჩევლად ყველას ყველასთან ერთიანობის აუცილებლობას... მე არ ვქადაგებ დენაციონალიზებულებთან და დეგრადირებულებთან ერთიანობის აუცილებლობას... არა, მე ვქადაგებ ეროვნულ-ტრადიციულ პლატფორმაზე მყოფი ადამიანების კონსოლიდირების აუცილებლობას...

ჩვენი სამშობლოსათვის ამ ყოფნა-არყოფნის დილემის ჟამს ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა აღარ უნდა მოვიცალოთ ურთიერთწამოყვედრებისათვის... ჩვენ მცირერიცხოვანი ხალხი ვართ... ჩვენი დაქსაქსულობა ყოვლად დაუშვებელია... ჩვენ მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს უნდა დავუმორჩილოთ ჩვენ-ჩვენი სურვილები თუ ვნებები...

და ბოლოს, უნდა გვესმოდეს, რომ დრო ჩვენზე ნამდვილად არ მუშაობს...

უნდა გვესმოდეს, რომ გეოპოლიტიკური პროცესები უაღრესად დინამიურად და დრამატულად ვითარდება...

უნდა გვესმოდეს, რომ ახლა როგორც არასდროს ისე გვმართებს სტრატეგიული აზროვნების სიბერწისაგან თვითგანკურნება...

Რ. ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐ! ᲔᲚᲐᲓᲐᲕᲔ Ტ. ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ!

ღმერთო ჩემო... როგორ არ მინდა ვინმეს მიმართ რამე აუგი წამომცდეს... არ ვარ კონფრონტაციული ბუნების... მინდა, სულ მინდა, რომ მოყვასის მიმართ კეთილგანწყობილი ვიყო... მაგრამ ვაი, რომ ამის საშუალებას არ მაძლევენ მავანნი... ჰოდა, მეც იძულებული ვარ ჩემი ჯიშის და ჯილაგის აბუჩად ამგდებ თახსირებს ადეკვატური პასუხი გავცე...

ახავაი, რომ ამ თახსირებში არამეგრული წარმომავლობის მარგალოფობებთან ერთად წარმომავლობით მეგრელი და აწ უკვე ნამარგალიც არა ერთი და ორია... ამ ბოლო დროს ერთხელ უკვე მომიწია ერთ-ერთი საჯაროდ შესაბამისი ეპითეტებით შემემკო, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა კვლავ მიწევს ამის გაკეთება...

საქმეც იმაშია, რომ არ ისვენებს ენათმეცნიერად თვითწოდებული რ. შეროზია და მეგრული ენის ქომაგებს პერმანენტულად გვესვრის ტალახს...

თურმე კუჩხა-დღესაც არ დაიზარა ამ ნამარგალმა ამის გაკეთება და თავისი მოკლე ჭკუით ვითომ გაგვაშაყირა... სასაცილოსთან ერთად სატირალია, რომ ამ ფსევდომენცარს მისივე დამქაში ფუტკარაძეოიდები ამას უწონებენ და ხალას იუმორადაც კი უთვლიან... არადა, ნამარგალ რ. შეროზიას ე. წ. იუმორი სხვა არაფერია თუ არა უკბილო და თანაც სამარცხვინო... ჰა, ჰა, დაუჯდებინა რაღაცა და თანაც მეგრული ენა წინწკლებში მოუქცევია **„პრაფესორ ენათმეცნიერს"**... სიტყვა **„ბიზნესი** – BUZINES"-ით და მეგრული ენის ლექსიკაში არსებულ სიტყვა **„ბუზინი**-BUZINI"-ით უხამს მანიპულაციას ეწევა ეს უნიჭო ჰუმორისტი... ვითომ დაგვცინის, მაგრამ სინამდვილეში ბორულად ბუუტურობს რაღაცას ეს ძალად ენათმეცნიერი...

ახლა კი, სერიოზულად:

რ. შეროზია! ჯერ ერთი – ეღადავე ტ. ფუტკარაძეს! მეორე – ცხადია არცერთი ჭკუათმყოფელი მეგრელი არ იტყვის იმას, რომ სიტყვა „ბიზნესი" მეგრული „ბუზინი"-დან იყოს თითქოს ნასესხები! და, მესამეც – შენ ხარ მოღალატე! შენ ხარ მკვლელი! მეგრული ენის მკვლელი ხარ შენ! საკუთარი ხალხის მკვლელი ხარ შენ! შეგირცხვა ნამუსი და უფალმაც შეგაჩვენოს რეზო შეროზია!..

p. s. ახლა საზოგადოებას ვთხოვ წაიკითხოს რ. შეროზიას ნაჯღაბურა:

„მეგრული ენის" ე.წ. ქომაგებს ერთი საამაყო ფაქტი უნდა გაგიმხილოთ: მსოფლიოში პოპულარული სიტყვა ბიზნესი (BUZINES) მეგრული ენიდან არის ნასესხები ყველა ენაში. ნახეთ BUZINESმედია, ხოლო BUZINI რას ნიშნავს? იგი ზუსტად შეესატყვისება ჩვენი მედიის ხასიათს! მსგავსი საინტერესო ფაქტები ბევრია... ენათმენცარი, **რ.შეროზია**

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ხელები შორს ეკის (უნაგირას) მთის ნგრევისაგან

2016 წელს გაზეთი „ვერსია“ და გაზეთი „ილორი“ იუწყებოდა,რომ ჩოჩელ-ჩინელები და ბოკერიები, ერთობლივი ძალით უტევდნენ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობას და სოფელ კოტიანეთში დალუქული კირქვის საბადოს გახსნას. 11.000 ლარად გაყიდული ეკის მთა და ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე ნებართვის გაცემის ერთ-ერთი მიზეზი თურმე ქვეყანაში ინვესტიციის შემოდინება და ბიუჯეტის შევსებაა. ჩინელების რა მოგახსენოთ, მაგრამ არა მგონია ხელისუფლებაში იყოს ისეთი, რომ სამეგრელოს მოსახლეობის ბედი აწუხებდეს ან ადარდებდეს. სასიკეთო საქმეების კეთება, რომელიც ქვეყანას წაადგება ყოველთვის მისასალმებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეკოლოგიურად მიუღებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. როდესაც ლიცენზიებს გასცემდნენ, რატომ არავინ იზრუნა, თუ რა გავლენას მოახდენდა ცემენტის ქარხნის მშენებლობა სოფ. ნოსირში. დააყენებდა თუ არა ეკოლოგიური პრობლემის წინაშე ადგილობრივ მოსახლეობას. საღად მოაზროვნე მოსახლეობა კი სამთავრობო კომისიის შექმნასა და ალტერნატიულ ექსპერტებს ითხოვდა, ხოლო მოსახლეობის ზოგიერთმა გაუცნობიერებელმა ნაწილმა კი ამ დამანგრეველ ძალას მხარი დაუჭირა იმ იმედით, რომ სამუშაოს გამოკრავდა ხელს. თუმცა ჭეშმარიტ მამულიშვილებს ქვეყანაზე რა გამოლევს. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ხელმძღვანელი ბატონი ზურაბ კვარაცხელია, ერთ-ერთი იყო ვინც პირველმა შემოკრა განგაშის ზარი და განაცხადა, რომ ნოსირის ცემენტის ქარხნის აშენება, კოტიანეთთან კირქვის საბადოს გახსნა, ყოვლად დაუშვებელი იყო, რომ სულ რაღაც 3 კილომეტრში მდებარე ნოქალაქევს „არქეოპოლისს“, „ქუჯის ციხეს“ დააზიანებდა.

გარკვეული სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცდები მკითხველს გავაცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მეტად საინტერესო რელიეფი და რატომ არ შეიძლება იქ მსგავსი სამუშაოების წარმოება და სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება. მართალია დღეს სახელმწიფო პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციალური მდგომარეობაც მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ეკოლოგიურ პრობლემებზე.

სენაკის მუნიციპალიტეტს, სამეგრელოს რეგიონში გეოგრაფიულად ცენტრალური ადგილი უჭირავს, იგი იშლება რიონისპირეთიდან და ისტორიული უნაგირას (ეკის) მთის ორივე კალთაზეა გაშლილი. ლანდშაფტი მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. ოდითგანვე აქ თავს იყრიდა კოლხთა, სტრატეგიული, სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ტრადიციების მნიშვნელოვანი კერები. აქ იყო ერისთავ ქუჯის სტრატეგიული და პოლიტიკური რეზიდენცია.

სენაკის მუნიციპალიტეტის გეოლოგიური აგებულება რთულია, სამხრეთი ნაწილი, რომელიც კოლხეთის ვაკის უშუალო გაგრძელებაა, წარმოშობილია მეოთხეულ პერიოდში, ნეოგენური ზღვის უბის ადგილზე და მიეკუთვნება ალუვიურ-აკუმულაციურ ბარის ზონას, მისი პირველადი ნაოჭა სუბსტრატი დაძირულია დიდ სიღრმეზე და დაფარულია დაახლოებით 700 მეტრის სისქის ალუვიური ნალექებით, რომელთა შორის განფენილია კენჭები, ქვიშა და თიხა.

ჩრდილო ნაწილი ეკის მთის გორაკბორცვიანი ტერიტორიის სახით მიეკუთვნება ანტიკლინურ ნაოჭს, რომელიც ძირითადად აგებულია კირქვებისაგან, ცარცისა და მერგელებისაგან. ბუნებრივი რესურსებიდან მნიშვნელოვანია რეკრეაციული რესურსები, კარსტული მღვიმეები, ცხელი და მჟავე წყლები, კანიონები და ბუნების სხვა ღირსშესანიშნაობები, რომლებიც შემდგომში ტურისტული მეურნეობის განვითარების წინა პირობას იძლევა.

ეკის მთა, რომელიც არის ანტიკლინური მაღლობი, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 270-მდეა. ქალაქის მახლობლად არის საკირის მთები, შუშანიას სერი. (მას კუნძულ მთას ეძახიან).

სენაკი გამოირჩევა მიწისქვეშა წყლების სიუხვით, როგორც მინერალური, ისე კარსტული მტკნარი წყაროებით. მინერალური წყლები თავმოყრილია მენჯის ტერიტორიაზე და მიეკუთვნება გოგირდწყალბადთა და ქლორნატრიუმიან წყალთა ჯგუფს.

კარსტული წყლებიდან საყურადღებოა სოფ. საწულეისკიროს მახლობლად მდებარე „ქვაბის წყარო“, რომელიც გამოქვაბულიდან გამოედინება. „ქვაბის წყაროდან“ იღებს სათავეს მდ. ჩხარი, ამიტომ მოსახლეობა მას ჩხარის წყაროს უწოდებს (ჩხარი „ჩხრიალს“ ნიშნავს მეგრულად). ეკის მთაზე აღმოჩენილია მინერალური არაგონიტი და სხვა მრავალი საბადოები.

სენაკის მუნიციპალიტეტში (სოფ. საადამიო, საწულეისკირო და სხვა) განხორციელდა კარსტულ-სპელეოლოგიური სამუშაოები და მიწისქვეშა გამოკვლევები. ლიტველ სპელეომყვინთავებთან ერთად პირველად მოხდა საადამიოს და საწულეისკიროს მღვიმეების წყლიანი და მშრალი დერეფნების დაძლევა, აგეგმვა და აღწერა. აღნიშნული აღმოჩენა დაფიქსირებულია ახალი გეოგრაფიული აღმოჩენების საერთაშორისო ბაზაში. ეკის მთის მღვიმეებში კარგადაა დაცული ფრეატული და ვადოიზური ეპოქების და სტადიების მონაცვლეობის უტყუარი ნიშნები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საკვლევი მღვიმეების დიდი უმრავლესობა ჩასახულია ფრეატულ ეპოქაში.

გეოტექნიკურად ეკის მთა ბრაქიანტიკლინურ სტრუქტურას ანუ ისეთ ნაოჭს წარმოადგენს, რომლის სიგრძე დიდად არ განსხვავდება სიგანისაგან და გეგმაში ელიფსურ ფორმას იძლევა. მთის მასივის ბრაქიანტიკლინური სტრუქტურის ბირთვს აგებენ ზედაცარცული და პალეოცენ-ეოცენური ასაკის კირქვები, ხოლო ფრთები მთლიანად აგებულია ოლიგოცენ, ქვედა და შუამიოცენური თიხებითა და ქვიშა ქვებით. ამრიგად, ეკის მთა წარმოადგენს მეზორელიეფის ტექტოგენურ ფორმას. მისი თხემური ზოლი, ჩაკეტილი ქვაბულებისა და ძაბრების სიუხვით გამოირჩევა. ძაბრები და ქვაბულები აქ მოსული ატმოსფერული ნალექების რეზერვუარებს წარმოადგენენ, საიდანაც მარაგდება ეკის მთის ფერდობებზე გამომავალი დიდ-დებიტიანი ვოკლუზური წყაროები. რომელნიც ზოგჯერ მღვიმის შესასვლელებიდან გადმოსჩქეფს. ამ წყაროების სიფონების დაძლევით შესაძლებელი გახდება წყლით გამოვსებული დერეფნებისა და მშრალი მონაკვეთების მქონე მღვიმეებში შეღწევა. სწორედ 2014 წლის აგვისტოში ისევ ლიტველ სპელეომყვინთავთა ჯგუფთან ერთად მნიშვნელოვანი სპელეოლოგიური საძიებო და კვლევითი სამუშაოები განხორციელდა ეკის მთის მიდამოებში, კერძოდ საწულეისკიროს სიფონებიან მღვიმეში მოხერხდა 280 მ. სიგრძის და 39 მ. სიღრმის დახრილი წყლიანი დერეფნის აკვალანგებით გაცურვა. ასევე საადამიოს წყლიან მღვიმეში 8-10 მ. სიგრძის სიფანურ ტბას, სადაც შესვლა გასაბერი ნავით მოხერხდა. აი, ასეთია უნაგირას მთის მიწისქვეშეთში არსებული მითაჟამინდელი, უნიკალური ძეგლები, როგორიცაა ბუნების ნაქანდაკარი სპელეო დარბაზები, საოცრება შადრევნები, ტბები. ტბა, რომელიც 300 მეტრი სიგრძისაა 90 მეტრი სიგანის და 30 მეტრი სიღრმის, ამიტომ საჭიროა დროზე შევაჩეროთ ზოგიერთი ვაი ქართველების ანტიეროვნული, მტაცებლური მადა. თუ ისინი ჯიუტად გააგრძელებენ მძლავრი ტექნიკით და აფეთქებებით მუშაობას, დაინგრევა ქვემოთ ჩამოთვლილი კულტურის ძეგლები: 1. ნოქალაქევი, ქუჯის ციხე; 2. 40 მოწამეთა ეკლესია; 3. ტრიუმფალური არკა; 4. აკროპოლისი; 5. ქარვასლა მარანი; 6. გახომელას წმინდა გიორგის ეკლესია; 7. ქვედა სორტის მაცხოვრის სახელობის ეკლესია; 8. ზედა სორტის სამების სახელობის ეკლესია; 9. ძველი სენაკის ეკლესია; 10. ძველი სენაკის სამხედრო საფორთიფიკაციო ციხე-სიმაგრე; 11. შხეფის ციხე-დარბაზი (საძირკველზე ასომთავრული წარწერით). 12. ქვაში ხორშის ციხე დარბაზი – ულამაზესი ჩანჩქერით (15 მეტრის სიმაღლის წყალვარდნით). 13. საკალანდარიშვილოს ეკლესია. 14. ონაგურის ციხე. 15. მენჯის ეკლესია. 16. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია გალავნით. 17. იმანიორის ეკლესია (ნანგრევებში). 18. დედათა მონასტერი. 19. მამათა მონასტერი. 20. ჯეგე-მისარიონის წარმართული სამლოცველოს ნანგრევები ბეთლემში და სხვა კულტურის ძეგლები. ასევე მძლავრი აფეთქების შედეგად მოსალოდნელია დაინგრეს მიწისქვეშა დარბაზები – მდიდარი სტალაქტიდებით, ჰელიოქტიტებით და სტალაგმიტებით. დაინგრევა: 1. ხომონის მღვიმე ოთხი დიდი დარბაზით. 2. მენჯის მღვიმე; 3. საკირეს მღვიმე; 4. სახარბედიოს მღვიმე. 5. საწულეისკირიოს მღვიმე. 6. საადამიოს მღვიმე. 7. საგუნიოს მღვიმე. 8. ოთუნთეს მღვიმე. 9. დადიაშ ტახტის მღვიმე. 10. ოღუეშის მღვიმე. 1. მენათეს მღვიმე. 12. კვარჩღალის მღვიმე. ასევე დაინგრევა უნაგირას მთაზე არსებული 50-მდე უფსკრული (წკვარამი). დაინგრევა: 1. გაგიას წკვარამი, სიღრმე 420 მეტრი. 2. ოკარკალეში, სიღრმე 410 მეტრი. 3. მურმანის უფსკრული 350 მეტრი სიღრმის. 4. დოხვადიას უფსკრული 350 მეტრი. დანარჩენი უსახელო უფსკრულებია. გარდა ამისა შეიძლება დაზიანდეს 250 ძაბრისებური უფსკრულ-ღრმულები. ამათგან მხოლოდ ერთშია წყალი დაგუბებული და მას გაგიას ტბას, ხან ფართო წყარს უწოდებენ. უნაგირას მის ჩრდილოეთის პლატოზე გაედინება 13 წყალუხვი წყარო ნაკადულები. ასევე სამხრეთის ფერდობებზე 14. ასევე საინტერესოა 1. საკირეს შადრევანი. 2. სახარბედიოს შადრევანი. 3. საწულეისკირიოს შადრევანი. 4. საადამიოს შადრევანი. 5. შხეფის შადრევანი. უნაგირას მთის ძირები მდიდარია მცირე ზომის ჩანჩქერებით, როგორიცაა: 1. სახარბედიოს ჩანჩქერი. 2. საადამიოს ჩანჩქერი. 3. კოტიანეთის ჩანჩქერი. 4. გახომელას ჩანჩქერი. 5. ნოქალაქევის ჩანჩქერი.

მუკოტახილის მიდამოებში დედამოკასთან აფეთქების შედეგად შეიძლება მეწყერი ჩამოწვეს და თან ჩაიტანოს სანაპიროზე არსებული სიმდიდრეები. 1. პალეოცენის. 2. ეოცენის. 3. მიოცენის. 4. პლეისტოცენის რღვევადი ქანები. ეს ქანები მსხვრევადია, ვერ იტანს რყევებს. სოფ.ნოსირში ცემენტის ქარხნის აშენების შემთხვევაში, ცემენტის მტვრით დაიფარება დასავლეთ საქართველოს ულამაზესი ქალაქები: სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, მარტვილი, ფოთი და სოფლები (გააჩნია ქარის მიმართულებას). მაგალითისთვის კმარა კასპის ცემენტის ქარხნის მტვრის მოძრაობა. იგი 25-30 კმ-ზე ვრცელდება. ცემენტის მტვერი იწვევს სხვადასხვა დაავადებებს: ფილტვების კიბოს, კანის კიბოს, თმის ცვენას, გინეკოლოგიურ დაავადებებს, ტუბერკულიოზს და სხვას. გამოდის, რომ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობა მრისხანე ავადმყოფობის ცენტრად იქცევა.

მე-XX საუკუნის 70-80-იან წლებში, კომუნისტების მმართველობის ხანაში, ტაშკენტის სეისმოცენტრმა აკრძალა უნაგირას (ეკის) მთაზე ყოველგვარი აფეთქებები. კერძოდ, დაიხურა სენაკის ცნობილი კირის ქარხანა, სახარბედიოს კირქვის კარიერი, საჩიქობაოს კირქვის კარიერი, კოტიანეთის კირქვის კარიერი და ბეთლემის კირქვის კარიერი.

არსებობს აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დასკვნები, რომ კირქვის კარიერში მოხდება რელიეფის ზედაპირის დეფორმაცია, ხოლო აკადემიკოსი პაატა გიორგაძის დასკვნით, ეს მთა „წყალზე დგას“ და მისი აზრით უნაგირას მთაზე აფეთქებების წარმოება ყოვლად და კატეგორიულად დაუშვებელია. თვითნასწავლი სპელეოლიგის იგორი ბოჯგუას დასკვნით ამ მთის მუცელში სიცარიელეა.

ისრაელიდან ჩამოსული ქართველი ებრაელი გვირჩევდა, ყველას რომ ნედლეულს სთავაზობთ, როდემდე უნდა „ყიდოთ იგი“? განა დრო არ არის საკუთარი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაზე იზრუნოთ? მაგრამ ამისთვის საკმარისი იქნება აღადგინოთ ის ტრადიციული, რაცა გქონდათ. ძალიან კარგი რჩევაა, მაგრამ ამაზე რომელი მთავრობა ფიქრობს და იფიქრებს მომავალში? მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე და კეთილდღეობაზე ფიქრობენ „აფთრებივით“ არიან შესული ქვეყნის ბიუჯეტსა და ერთმანეთის „ღრენით“ გლეჯენ მას, ვის როგორც შეუძლია იწერენ უზარმაზარ პრემიებს, დანამატებს და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ უბედურებას სჩადიან ქვეყნის საზიანოდ.

დღეს კი კოტიანეთის მთის ზედაპირზე 100 ჰა ტყეა უნებართვოდ ამოძირკული და 100 ჰა, საძოვრის ხელყოფა ცოტა ამბავი არ არის მოსახლეობისთვის. ყოველთვის და ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსად ანთეოსისა (ძველი მითოლოგიური გმირი) მიწას და ბუნებას მოწყვეტილი ადამიანი კარგავს ძალას. გალაქტიონის არ იყოს, „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ გავიარე – რაა მამული?!’ თუნდაც ძველ ინდური ლეგენდა ავიღოთ, ინდოეთის იმპერატორს მოახსენეს, რომ ქალაქში დაიწვა ყველაზე დიდი და ძვირფასი ტაძარი, ამის გამო იმპერატორი დიდად არ აღშფოთებულა, პირიქით, ძალზე ფრთხილად უკითხავს: ხომ არ დაზიანდა ტაძრის წინ მდგომი მრავალსაუკუნოვანი ჭადარი?!

დღეს ყველა ჩვენგანს უჩნდება კითხვები: რამდენად ნორმალურია დედამიწის შეცვლილი ბუნებრივი ეკოლოგიური გარემო? როგორ უზრუნველყოფს დედამიწა კაცობრიობას მომავალში თავისი მოდგმის შენარჩუნებასა და განვითარებას? ხომ არ გველის დედამიწელებს გარდაუვალი კატასტროფა? რაც მეცნიერული თვალსაზრისით პროგნოზები ძალიან საგანგაშოა.

თქვენ, კაი დედმამიშვილებო! ასე თუ გერჩით გული ქვეყნის კეთილი დღეობისთვის, კოტიანეთში კირქვის ქვებს რას ეჭიდებით, ააღორძინეთ კურორტი მენჯის წყლის აბაზანები, რაც გულსისხლძარღვთა დაავადების (რაც მოხშირებულია ქვეყანაში) სამოძრაო ორგანოების, სახსრების, ქრონიკული, გინეკოლოგიური, ნივთიერებათა ცვლის, ნერვული სისტემის, კანისა და სხვა დაავადებების შეუდარებელი მკურნალია. იქვეა სამკურნალო ტალახიც. ერთ-ერთმა ქიმიკოსმა რუ კუპცისმა მენჯს მაცესტაც კი უწოდა.

ბატონებო! დროა შევაჩეროთ უნაგირას (ეკის) მთაზე ბუნებრივი ძეგლების განადგურების მოსურნე შინაური თუ გარეული მტრები. ვიღაც-ვიღაცეების გადამთიელების სტომაქის ამოსავსებ-ამოსაყორი ადგილი ამ მთაზე არ არის.

ბიჭიკო თუნთია,
ქ. სენაკი

სადა ხართ მამულიშვილებო?!

ამასწინათ, გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს"** ერთგული მკითხველი, მომღერალი მედეა სიხარულიძე დამიკავშირდა და კულტურის სფეროში განვითარებულ მოვლენებზე მესაუბრა: მომღერლების ოჯახში დავიბადე. მამაჩემის – გარსევან სიხარულიძის ხელოვნებით, რომელიც ხალხური მუსიკის ღვაწლმოსილი მოღვაწე იყო, 1932 წელს სტალინიც კი დაინტერესდა და მისი გუნდი სოხუმის აგარაკზე მიიწვია. როცა ტელეკომპანია **„იმედი"**-ს ეთერში ჩატარდა პროექტი **„ახალი ხმა"**, გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ მითხრეს ქართული სიმღერა არ გვინდაო, მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა მოსმენილიც ჰქონდათ, მოიხიბლნენ კიდეც და მადლობაც გადამიხადეს.

ქართული კულტურა და ტრადიციები. ამ პროცესების წინაპირობა ჩვენთვის პირადობის მოწმობიდან ეროვნებისა და მამის სახელის წართმევა იყო. ეს ყოველივე ევროპული იდეოლოგიის დამსახურებაა, რათა უსქესო, უგულო, მათი იდეების გამხმოვანებელ მყვირალა რობოტებად გვაქციონ. პარალელი გაგავლოთ როგორ აფასებდნენ ქართულ სიმღერას კრემლში და დღესაც რუსეთში ქართულ კულტურას პატივს სცემენ. რუსეთი ქართული სულიერების გაქრობით არ არის დაინტერესებული, პირიქით – მართლმადიდებლობა ციტადელივით აღმართეს ქვეყნის საზღვარზე.

დასავლეთის პოლიტიკა ქართველი ერის გენოციდისკენ არის მიმართული, რასაც ქვეყნის ხელისუფლება ხელს უწყობს. დღეს სწორედ ის პროცესები მიმდინარეობს, რაც გასაბჭოებამდე ხდებოდა – საქართველო იყიდება! გაიღვიძე საქართველოვ! მარჯანიშვილის მოედანს უცხოელებმა სახელი შეუცვალეს და სტამბოლის მოედნად მოიხსენიებენ. ხელისუფლების პოლიტიკამ საკუთარ მოსახლეობაზე **„ზრუნვით"** იმასაც მიაღწია, რომ უცხოელები პირდაპირ სახლში უხტებიან ჩვენს მოქალაქეებს და კარმიდამოს ართმევენ ჩინოვნიკების დახმარებით, როგორც დიდი ხეივნის ქუჩაზე მცხოვრებ გოჩა ვარდოსანიძეს წაართვეს. ერთი წლის წინ ხარაგაულის რ-ნის სოფ. ზვარეთში, სადაც ჩინური კომპანია გვირაბს აკეთებდა, ჩინელმა სასიკვდილოდ სცემა ქართველი მუშა, მაგრამ პასუხისმგებლობაც არ დააკისრეს. ამასთანავე, ქართველებს გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას უხდიდნენ, ვიდრე ჩინელებს. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია – სახალხო ტრიბუნების პრეზიდენტი და **„ეროვნული ღირსების დარბაზის"** ერთ-ერთი კოორდინატორი – მამისა ჯაფარაშვილი განგაშის ზარებს არისხებს და აღნიშნავს, რომ უცხოელებს ქართველთა ჩაგვრის ხარჯზე უნდათ საქართველოში დამკვიდრება. მისივე ინფორმაციით, სიღნაღის რ-ნის სოფ. ილიაწმინდაში არაბმა ქართველს ცოლი წაართვა და ბავშვების წართმევითაც იმუქრება. უარესის მოლოდინით შეშინებულები სამართალდამცავ ორგანოშიც ვერ ბედავენ მოსვლას. ეს ის არაბია, რომელსაც 2012წ. კეზერაშვილმა და ადეიშვილმა 1500 ჰა გადაუფორმეს, ახლი იორი დააგუბა და არაბული სოფლის აშენებას აპირებს. დიახ, საქართველოს ხელისუფლებას უცხოელებით ქართველთა ჩანაცვლება მიზნად დაუსახავს და კოალიცია „ეროვნული ღირსების დარბაზთან" ერთად გაზაფხულზე საერთო ეროვნული ყრილობის ჩატარებასა და მასიურ მანიფესტაციას გეგმავს. ამ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ მიწის ნაციონალიზაციით შეიძლება, რადგან როცა მიწა უცხოელების ხელშია, ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს საფრთხე ექმნება. საგულისხმოა, რომ ინგლისსმა და ამერიკაშიც თავის დროზე ნაციონალიზაცია განახორციელეს, ჩვენი ხელისუფლება კი ახალი ტიპის მონათმფლობელურ პირობებში აბრუნებს საქართველოს. წახალისებულია ქართველების მიზანმიმართული ჩაგვრა, ანუ ე.წ. დისკრიმინაცია – უცხოელები აუქციონზე ყიდულობენ ბინებს და შემდეგ მოგებით ყიდიან – ამ ყველაფერზე ხელისუფლება თვალს ხუჭავს. ვახტანგ გორგასალმა ირანელთა წინააღმდეგ ომში ჩრდილოკავკასიელებიც არ გამოიყენა, რადგან საცხოვრებლად საქართველოში დარჩებოდნენ, რაც ქართველებისთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. ამ ხელისუფლებამ კი ათასი ჯურის ეშმაკეული შემოგვისია!

სადა ხართ მამულიშვილებო?! სად არიან ის პატრიოტები, რომელნიც ყველა ქვეყანაში საქართველოს ინტერესების დაცვაზე საუბრობენ და თავიანთ ქვეყანაშიც ვერ დაუცავთ?! სად არის ის სამართალდამცველი მაღალჩინოსანი, რომელიც მამუნათებდა: თქვენზე ნაკლები პატრიოტები არა ვართ, მაგრამ თქვენ, რუსეთუმეებს აღარ გეღირსებათ ძველ ორბიტაზე დაბრუნებაო! კიდევ უფრო თავდაჯერებით საუბრობს ამ საკითხზე ამერიკული საშინელებათა ფილმის პერსონაჟი – გიგა ბოკერია (ჩახედეთ თვალებში!). პატრიარქის აღსაყდრების იუბილეზე (25 დეკ. 2017წ.), რომელიც მთაწმინდაზე გაიმართა, პატრიარქი ასე დალოცა: რუსული გავლენები ჩვენი საზოგადოებისა თუ ქვეყნის სასულიერო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში დაე, თქვენი პატრიარქობის დროს სრულიად აღმოგვეფხვრასო. ეს კი ნიშნავს, რომ იძულებით გვათქმევინონ უარი ზნეობაზე, მართლმადიდებლობაზე, ქართულ ტრადიციებზე. მივმართავ ნაც-ქოც ლიბერასტებს: – სამშობლოზე ვერასოდეს გაიმარჯვებთ და საქართველო კიდევ იტყვის თავის სათქმელს! მალე ამერიკელებს პრეზერვატივადაც აღარ გამოადგებით, რადგან სირიაში რუსეთის გამარჯვების შემდეგ იმ უხერხულმა ადგილმა, სადაც თქვენი ჩათვლით მსოფლიოს ქვეყნები ჰკიდიათ, დისფუნქცია განიცადა. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება არჩევნებში ვლ. პუტინის გამარჯვების შემდეგ. ასე, რომ **„ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა"**. რუსეთი ერთადერთი ნათელი წერტილია მსოფლიოში, მართლმადიდებლური ქვეყანა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო და იყო დაცული. – **„ჩვენ არ უნდა ვიქცეთ რუსეთის დირექტივების შემსრულებლად"** – გვაფრთხილებენ **„ძალიან ეროვნულები"**. დღეს რუსეთი სუვერენული დემოკრატიის მომხრეა. ამის მაგალითია სომხეთი – რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა, რომელმაც ამერიკული ლაბორატორიების მშენებლობისთვის ამერიკისგან 18 მილიონი მიიღო. საინტერესოა, რუსეთის რომელმა დირექტივამ დააზიანა საქართველოს ინტერესები დასავლეთის დირექტივებისაგან განსხვავებით, რომელიც ჩვენი სულიერების დასამარებისკენ არის მიმართული? საქართველოს ხელისუფლება ქართველების ოცნების გარდა ყველა სხვა ერის ოცნებას ახორციელებს, მათ შორის სომხურ ოცნებასაც: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 8 წევრი სომხეთის მოქალაქეა. ეს ის „მეგობარი" ერია, რომელიც სხვათა ტერიტორიებისა და კულტურის მითვისებაზეა ორიენტირებული. სომხები 1996წ. თავიანთ მაცნეში წერდნენ, რომ ქართველები მომაკვდავი ერია და ჯავახეთი ჩვენიაო. ისინი უზნეო, გაუმართლებელი მეთოდებით ცდილობენ თავიანთი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებას და ჩვენ ზნეობრივი მეთოდებითაც ვერ მოგვიხერხებია ჩვენი ინტერესების დაცვა. ცხადია, ჩვენი ხელისუფლების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. პრემიერმა კვირიკაშვილმა თავის თავს თავად გამოუტანა განაჩენი, როცა პრემიერად დანიშვნისთანავე ბრძანა: ვაღიარებ წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროგრესსო. ნ.მელიასთან დაპირისპირებისას კი აღიარა: ის, რაც თქვენ გაქვთ გაკეთებული, ღმერთმა დაიფაროს ნებისმიერი ძალაო. კომენტარი მკითხველისთვის მიმინვია. პოლიტიკა, დემორალიზებული განათლების სისტემა და ჯანმრთელობის სისტემა – ბიზნესად არის ქცეული. არსებობს უარესიც – დასავლური სამართალი, ანუ კრიმინალის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის. რამუშ ჰარადინაი – სადისტი მკვლელი, რომელიც თვალებს თხრიდა და დანით კუწავდა უმწეო მსხვერპლს, აუპატიურებდა და შემდეგ ფატრავდა ქალებს – ჰააგის სასამართლომ გაამართლა და დღეს ის კოსოვოს პრემიერ-მინისტრია. უნდა კი ქართული ტრადიციების მქონე ხალხს ასეთი ევროპა? საქართველოში დასავლეთის პოლიტიკის წინააღმდეგ არცერთ ძალას პროტესტი არ გამოუხატავს. შეხედეთ რას ჰგავს ჩვენი პოლიტიკური სივრცე – ერთნი თავს იწონებენ ამერიკელ მაღალი დონის სენატორებთან ნაცნობობით (ამ მხრივ **„პატრიოტთა ალიანსი"** ლიდერობს), მეორენი თავს იწონებენ – რუსეთთან არანაირი საერთო არა გვაქვსო. არც ერთნი არიან პატრიოტები, არც მეორენი – ეროვნულები. ორთავე ბედკრული საქართველოს უძღები შვილები არიან. ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ დასავლეთის დირექტივებისა და დაფინანსებული იდეოლოგიისგან, მაგრამ არცერთ სახელმწიფო მოხელეს არ ყოფნის ეროვნული ღირსება და კაცური შემართება დიად განაცხადოს ამის შესახებ. საზოგადოებას შევახსენებ ბელგიის პარლამენტის წევრის – დორან ლუის სკანდალურ გამოსვლას ბრიუსელში (2014წ.), რომელიც სისტემას დაუპირისპირდა: **„წადით თქვენი ყველასი... მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული, ე.წ. კეთილისმყოფელი პარტიებისა, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებისა, წადით თქვენი ყველასი... ვინც თამაშობს ბომბებით, წადით თქვენი... ვინც დემოკრატად ასაღებთ თავს და სინამდვილეში სისხლის სამართლის სიზიზღარი დამნაშავეები ხართ!"**... სამწუხაროდ, ჩვენს პარლამენტში „ენძელები" (პარლამენტარი) ყვავიან და ხალხისთვის არ სცალიათ. **„საქართველოს სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან სამარეში ჩაჰყვნენ და საქართველოც ჩააყოლონ ამერიკას"** – ბრძანა ერთ-ერთ ინტერვიუში პოლიტოლოგმა – ჰამლეტ ჭიპაშვილმა. ასეთი ადამიანები ოპოზიციაშიც ლაღად გრძნობენ თავს. **„პატრიოტთა ალიანსის"** ლიდერმა – თარხან მოურავმა **„ობიექტივის"** ეთერში განაცხადა: ჩვენ უნდა ვაღიაროთ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად და ჩვენი პარტნიორი უნდა იყოს ამერიკა და ისრაელიო. საზოგადოებას ეყო გონიერება და ხმა არ მისცა ამ პარტიას. ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო ამერიკასთან უკეთეს პარტნიორობაზე მეოცნებე პატრიოტი, მთელ მუსულმანურ სამყაროს მტრად გადაგვკიდებდა, რადგან მუსულმანები ტერაქტებს აანონსებენ იმ ქვეყნებში, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამერიკის რეზოლუციას. შემდეგ ნატოს ჯარებს, რომელზეც 20 წელია ოცნებობენ, შემოიყვანდა ტერაქტების გამჩაღებელთა წინააღმდეგ და საქართველოს ომის ცხელ კერად აქცევდა. სამაგიეროდ, ყოველდღე მის ქადაგებას მოისმენდით და მოძღვარიც აღარ დაგჭირდებოდათ. ქართველ ხალხს ქვეყნის სათავეში ამერიკის კიდევ ერთი მონა არ სჭირდება! (საზოგადოებას შევახსენებ, რომ ებრაელები საქართველოს თავიანთ ტერიტორიად მოიაზრებენ. ცნობილი ფაქტია, რომ მათ სვეტიცხოვლის მიმდებარედ 9500 კვ.მ. ტერიტორია შეისყიდეს და მცხეთა-იერუსალიმის პროექტის განხორციელებას გეგმავენ – კომერციული ქალაქი ებრაელთა საცხოვრებელი სახლებით).

ვ. კვარაცხელიამ თავის საავტორო გადაცემაში აღნიშნა, რომ ამერიკელი სენატორები ტელეკომპანია **„ობიექტივი"**-ს ეთერში რუსულ პროპაგანდაზე საუბრობენ და თითს უქნევენ საქართველოს. რეალურად კი ამერიკულმა პროპაგანდამ წალეკა ყველა ტელეეთერი. რეკლამირება მხოლოდ უხარისხო, დამპალ პროდუქტს გასასაღებლად სჭირდება. ჰოდა, ლიბერასტებო, თქვენი უმწიკვლო ბაგეთაგან ტუალეტის მყრალი სურნელიც ამიტომ იფრქვევა. ჩემმა თანამოაზრეებმა ხელმოწერები შეაგროვეს და ტელეკომპანია **„ობიექტივს"** მიმართეს, ვ. კვარაცხელიას გადაცემის ფორმატის გაფართოებისა და მასში პოლიტოლოგ ჰ. ჭიპაშვილის ჩართულობის მოთხოვნით. პასუხად კი ვ. კვარაცხელიას საავტორო გადაცემის ფორმატი კიდევ უფრო შეამცირეს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დაბალი საარსებო მინიმუმი საქართველოში ფიქსირდება, ყველაზე მაღალი ანაზღაურება – სახელისუფლებო წრეში. სტალინის პერიოდს ვერ შევადარებთ, როცა მუშის ანაზღაურება ცეკა-ს მდივნის ხელფასს უტოლდებოდა, მაგრამ ბრეჟნევის ეპოქასთან შედარებით მინიმალური ხელფასი 700 ლარი უნდა იყოს, პენსია – 400, 500 ლარი. ჩვენ ვცხოვრობთ უსამართლო, დამთრგუნველ სისტემაში. სტალინი პოლიტიკური სცენიდან არ უჩინარდება, რადგან მის იდეებს ალტერნატივა არ გააჩნია და 30 წლიან სტალინურ პეროდში ისეთი ნახტომები განახორციელდა ქვეყნის განვითარებაში, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. რა ხდება **„მეოცნებეთა"** ქვეყანაში? ნაც-ქოცების საამებლად კახიმ (**"პატარა კახში"** არ შეგეშალოთ) პრემია-დანამატები ხელფასს მიუერთა და ამჯერად ანგარიში კახის სასარგებლოდ 2:0-ია. ქალაქის განათებისთვის გადახდილმა სამმა მილიონმა საზოგადოებას გონებაც გაუნათა – ვის კარში გაიტანა გოლი დიდმა კახიმ?

ამ მოვლენებს ჩემი თანამოაზრე გურჯაანელი მეურნე – მერაბ ზურაბაშვილი დიდი ლადო ასათიანის მკვდრადშობილად შერაცხული ლექსის (თავად მკვდრადშობილისა და პირქვე მოხნული ლიბერასტის – ლ. ბერძენიშვილის მიერ) პერიფრაზით გამოეხმაურა:

"ჰეი, თქვენ, ღორისშვილებო, გაუმაძღარნო ვერცხლითა,

თქვენს საფლავებზე მოსვლა და ზედ დაფურთხება მომინდა!"

ეს თქვენი მომავალი განაჩენია სამშობლოს გამყიდველო ნაც-ქოცებო! აბა, მუხლს ვინ მოიდრეკს თქვენს საფლავთან, როცა საქართველოს ისტორიულ მტრებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას 300-მა არაგველმა ვაჟკაცმა სიცოცხლე შესწირა, საქართველოში ამკვიდრებთ?!

დაბოლოს, ჩემი თანამოაზრეებისთვის გულისგამხარებელ, ხოლო ლიბერასტებისთვის კიდევ ერთ კუჭის ამშლელ ანტინატურ გზავნილს ვთავაზობ საზოგადოებას – მეტი სტალინი საქართველოში!!!

იზა თამაზაშვილი

გაზეთ ილორი-ს რედაქციას!

როგორც ცნობილია, გასული წლიდან გაზეთს შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია გაზეთის მკითხველებისათვის მიწოდების ინტენსივობის გაზრდა! როგორც ცნობილია აღნიშნული გაზეთი, ძირითადათ მიწოდება სამეგრელოს რეგიონს და ნაწილობრივ აფხაზეთს-სამურზაყანოს! ამიტომ, ჩემს მიერ, თქვენთვის შემოთავაზებული იქნა ამ საკითხის მოგვარების ჩემეული წინადადება, რაც გამოიხატა, ჩემს მიერ, გაზეთში ჩემი პირადი ანგარიშის გამოქვეყნება, სადაც მოხდებოდა კეთილი ადამიანებისაგან, თავიანთი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე თანხების ჩარიცხვა! აღნიშნულმა მეთოდმა მეტნაკლებად იმუშავა! ხომ გსმენიათ მშვენიერი გამოთქმა: „კეთილი გულით მოძღვნილი, მცირედიც შეიწირების"! მაშინ, ჩემს მიერ იქნა ვალდებულება აღებული რათა, ყველა ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ჩემს მიერ იქნებოდა საზოგადოება ინფორმირებული შემოწირული თანხებისა და მათი შემომწირველების შესახებ! რასაც სიამოვნებით ვასრულებ!

დავიწყოთ იმით, რომ ამ კეთილი საქმის პიონერი, ანუ პირველი შემომწირველი გახლავთ ქალბატონი ლამარა ბელქანია, მარტოხელა ლტოლვილი, აფხაზეთიდან! გაზეთში საქველმოქმედო რეკლამის გასვლისთანავე დამირეკა ტელეფონზე და მითხრა თავისი პიროვნების შესახებ, და რომ, როგორც კი აიღებდა პენსიას, დაუყოვნებლივ ჩაგვირიცხავდა გარკვეულ თანხას! მართლაც, 27.05.2017 წელს მან ჩაგვირიცხა 10.0 ლარი. იგივე ქმედება გაიმეორა ამ ქალბატონმა 13.06.2017 წელს, ისევ 10.0 ლარი! მოწიწებით ქედს ვიხრი ქალბატონო ლამარა თქვენი პიროვნების წინაშე! აფერუმ თქვენს ქართველ ქალობას! საქართველოს არასოდეს აკლდა ღირსეული ქალბატონები და არც ეხლა აკლია, რომელთა შორისაც დამსახურებული ადგილი ეკუთვნის მას!

შემდეგი ჩარიცხვა მოხდა ბატონ ბორის ბეჭვაიას მიერ, რომელმაც 12.06.2017წ. ჩარიცხა 30.0 ლარი! შემდეგ ბატონ ვალერიან ლუკავას მიერ 16.06.2017წ., რომელმაც ჩარიცხა 20.0 ლარი! მერე იყო ბატონი ბორის დავითაია, რომელმაც 17.07.2017წ. ჩარიცხა 50.0 ლარი! მერე იყო ბატონ ასტამურ სიჭინავას ქველმოქმედება, რომელმაც 14.09.2017 წ. ჩარიცხა 50.0 ლარი! გასული წელი დამთავრდა ბატონ კოტე ზარანდიას ქველმოქმედებით, რომელმაც 22.11.2017 წ. ჩაგვირიცხა 50.0 ლარი! აღნიშნული თანხები ჩემს მიერ გადაცემული იქნა გაზეთისათვის. აი, ქალბატონებო და ბატონებო, ასეთი სურათი გვაქვს დღეისათვის ამ მიმართებით. ყველას მინდა პიროვნულად მოვახსენო უღრმესი მადლობა გამოჩენილი უდიდესი, დიახ უდიდესი ყურადღებისათვის! ვინც რა და როგორც შეძლო ჩვენი გვერდში დადგომა, ისე დაგვიდგა! ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ, რომ ეს წელი, ანუ თეთრი ძაღლის წელი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისათვის და რაც მთავარია, მთელი საქართველოსათვის მშვიდობის, ბარაქის, ჯანმრთელობის და ულევი სიხარულის მომტანი! კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა! ძაღლი (ნორმალური) ხომ ერთგულების განსახიერებაა! ასე, რომ ჩვენც, კვლავაც ვუერთგულოთ ძაღლივით ჩვენს საყვარელ სამშობლოს, საქართველოს!

ზევით ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ გაზეთი ძირითადათ ვრცელდება თბილისის გარდა სამეგრელოში და ნაწილობრივ აფხაზეთში – სამურზაყანოში! ამიტომ მინდა თხოვნით მივმართო ამ რეგიონებში მოღვაწე (გარდა სამურზაყანოსი) მწარმოებლებს! პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, ღმერთი არ გიწყენთ, პირიქით დაგ-ლოცავთ, თუ მიბაძავთ ქალბატონი ლამარა ბელქანიას მიერ გამოჩენილ ქველმოქმედებას! მან ის გაიღო უშურველად რაც არ დაენანა! ასე, რომ, თვეში ერთხელ თუ თქვენც გამოიჩენთ გულისხმიერებას, დიდად მადლობლები დაგრჩებით! აქვე, განსაკუთრებით მინდა მივმართო აფხაზეთიდან ოტებული, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მესვეურებს – ქალბატონებო და ბატონებო მიბაძეთ ქალბატონ ლამარა ბელქანიას! დარწმუნებული ვარ თქვენს მიერ გაწეული ქველმოქმედება, დაფასებული იქნება უფლის მიერ! წინასწარ ყველას გიხდით მადლობას!

ანზორი დანელია

გამოხმაურება მწერალ გივი სომხიშვილის პუბლიკაციაზე

მინდა რამდენიმე სიტყვით გამოვეხმაურო მწერალ გივი სომხიშვილის პუბლიკაციას: **"ქაჯების საზეიმო შეყრილობის მცდელობა"**.

ყველა დაკვირვებული, განათლებული, სადად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება, რომ პუბლიკაციაში ქაჯ-ეშმაკთა სამყაროს მბრძანებელი ბელზებელის და მისი ხროვის ჩმახის, ახმახის, ჩახმახის, ფახფახის და სხვათა სახით ნაგულისხმევია აშშ-ს დაზვერვის სამმართველო, მათი უფროსი, მათი აგენტები, რომლებიც მივლინებული არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რათა იმ ქვეყნებში გამოიწვიონ ქაოსი, არეულობა და დემოკრატიის სახელით, დემოკრატიის ნიღბით მოითხოვონ სრული თავისუფლება ყველა საკითხში იქნება ეს გარყვნილება, გათახსირება, სექსი, ერთსქესიანთა ქორწინება თუ მრავალი სხვა უბედურება-მანკიერება.

მართალია, ისინი თავიანთ მიზან-ამოცანების განხორციელებას ვერ ახერხებენ იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების სათავეში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მტკიცედ, უშიშრად იცავენ ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს და უკან ბრუნდებიან გაწბილებულ-კუდამოძუებულები.

პუბლიკაციის მიხედვით,როცა ქაჯ-ეშმაკთა მბრძანებელმა ბელზებელმა უსაყვედურა და დაემუქრა კიდეც რუსეთის გაქაჯებაზე პასუხისმგებელ ფახფახს, მაშინ წინ წამოდგა ეს მაღალი, რქამოტეხილი, კოჭლი და წელში მოხრილი რიჟა ეშმაკი ფახფახი და თავის მბრძანებელს უპასუხა; უუწმინდურესო, რაზე მემდური, ქაჯურად ჩემზე უკეთესად ვინ გაისარჯა? სტალინი რომ არა რუსეთის ხსენებას გავაქრობდი. რატომ არ მომაშორე?! სანამ სტალინი ცოცხალი იყო ქვესკნელში რად იმალებოდი? მე რა შემეძლო, როცა შენ ზურგზე ბოლი აგადინა და ზესკნელისკენ ამოხედვასაც ვეღარ ბედავდი.

ქაჯ-ეშმაკთა მბრძანებელი ბელზებელი დაეთანხმა ნათქვამს და სამართლიანად აღნიშნა, რომ სტალინისთანა კაცობრიობის ბედნიერებისათვის თავდადებული არსება ადამის მოდგმას არ ჰყოლია. ცოტაც და ბოროტებას თავისი ქაჯებიანად ბოლოს მოუღებდა, მაგრამ ხომ ხედავთ გადავრჩით.

გათამამებული ფახფახი კი განაგრძობს თავის მართლებას: სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩემს მიერ გაწვრთნილმა სიბილწემ არ დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევა? ჩემს მიერ შერჩეული სუსტი გონების ადამიანები ღრღნიდნენ სტალინის ძლიერი გონებით ნაგებ ქვეყანას, ბოლოს თხელტვინა ტყლიპიანმა საცოდაობამ რომ მოუღო ბოლო. დიდი ქაჯური მცდელობა დამჭირდა ადამიანთა მოდგმის იმედად შექმნილი ქვეყნის დასაშლელად. რუსეთი უკვე დასაშლელად და ასაკუწად იყო გამზადებული, მაგრამ უფალმა ქვეყანას მოუვლინა ქაჯების დაუძინებელი მტერი პუტინი.

პუბლიკაციაში საინტერესოდაა წარმოჩენილი მეტიჩარა, გაქუცული ბებერი ეშმაკი-ჩმახი, რომელსაც უხსოვარი დროიდან ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშება რომ ევალებოდა. ჩმახი თავის მბრძანებელ ბელზებელს უყვება თუ როგორ წარმატებებს მიაღწია საქართველოში ქართველების გარყვნა-გათახსირებაში,უყვება იმის შესახებ, რომ მისმა ქადაგებამ კარგი შედეგი გამოიღო და საქართველოში ბოროტება ეშმაკ-ქაჯობა, უსირცხვილობა, სექსუალური გარყვნილება-სიბილწე მეფობს.

ამერიკის დაზვერვის აგენტები ყველაფერ ამას ამართლებენ თავისუფლების, დემოკრატიის დაცვის სახელით. მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ თავისუფლება აკრძალვების, შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისაკენ. იმას, რასაც თბილისის ქუჩებზე ვხედავთ ამის დამამტკიცებელია. გოგო-ბიჭები უსირცხვილოდ, არავისი მორიდება რომ არა აქვთ, ისე გაგიჟებით ეხუტებიან, კოცნიან, გულში იკრავენ ერთმანეთს, ბოდიში მომიხდია მკითხველის წინაშე და სექსის აქტს სახალხოდ არ ატარებენ თუ არა სხვას არაფერს აკლებენ. აი, სწორედ ესაა ქაჯ-ეშმაკთა, ამერიკის დაზვერვის აგენტთა პროპაგანდა-აგიტაციის შედეგი.

ბატონი გივი სომხიშვილი თითქოს შეფარვით, მაგრამ ყველასთვის მისახვედრად წერს ყოველივე ამ მანკიერებების შესახებ, ამხელს ნაციონალების ხროვას, რომლებიც თითქოს სხვადასხვა პარტიებად გვევლინებიან და გველივით სისინებენ, ამხელს სოკოებივით მომრავლებულ არასამთავრებო ორგანიზაციებს, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან და მათ დავალებებს ერთგულად, მონური მორჩილებით ასრულებენ. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად სწორად აღნიშნავს, რომ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას გაჭირვების დროს ყოველთვის მხსნელად მოევლინება უფალი, გამოაღვიძებს ქართველ ხალხს, ყოველივე ამ საზიზღრობების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით აღანთებს და ბოლოსდაბოლოს ქართველებიც გამარჯვებული გამოდიან.

პირადად მე კი სხვანაირად ვიტყოდი: ქვეყნის ხელმძღვანელობა, ხალხი, საზოგადოება ყოველთვის ღვთის წყალობას კი არ უნდა დაელოდოს, არამედ მუდამდღე, ყოველ წუთსა და წამს უნდა იყოს ძალიან ფხიზლად, დროულად გამოავლინოს სამშობლოს მოღალატენი, მათი მზაკვრული გეგმები და სამაგალითოდ მკაცრად დასაჯოს.

სახელმწიფოში უნდა იყოს დისციპლინა, მის გარეშე არაფერი არ გამოვა. ოჯახის უფროსის მიმართ თუ არ არის მორიდება, შიში, იქ საქმე ცუდად წავა, შეიძლება ოჯახი დაინგრეს. ასეა სახელმწიფოშიც, მას უნდა მართავდეს მართალი, გონიერი, განათლებული, წესრიგის მოყვარული ადამიანი.

ქვეყნის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ააღორძინოს სოფლის მეურნეობა, შექმნას იქ ისეთი ცხოვრების პირობები, რომ ხალხი სოფლიდან ქალაქში, საზღვარგარეთ კი არ უნდა გარბოდეს, არამედ, პირიქით, ქალაქიდან, საზღვარგარეთიდან უკან სოფელში ბრუნდებოდნენ და ადგილზე მკვიდრდებოდნენ. ქვეყნის ხელმძღვანელობამ უნდა ააშენოს ფაბრიკა-ქარხნები, დაასაქმოს ხალხი და მაშინ, ცხადია, არსებული მძიმე მდგომარეობა გამოსწორდება და საქართველოში არ იქნება იმდენი მაწანწალა, მათხოვარი ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდებიან და გაიძახიან დამეხმარეთ, დამეხმარეთო.

ბატონი გივი სომხიშვილის პუბლიკაციით აღვილი მისახვედრია, რომ ქაჯ-ეშმაკები, დაზვერვის აგენტები ჩვენს ქვეყანაში თავიანთი მზაკვრული ქმედებებით ახერხებენ იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მოიყვანონ ფულზე უზომოდ შეყვარებული, ფულის მონა ადამიანები, რომლებიც ფულის გულისათვის ყველაფერს იკადრებენ, სამშობლოს, ხალხს, ნათესავ-მეგობარს უყოყმანოდ გაყიდიან. ასეთი ადამიანები ცდილობენ ისედაც ღარიბი, არაფრის მქონე ადამიანები კიდევ უფრო გაძარცვონ და თავად მილიონები ჩაიჯიბონ. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ უახლოეს ხანებში იგეგმება ტარიფების მომატება, და არა შემცირება, თითქმის ყველაფერზე.

პუბლიკაციის შინაარსიდან ადვილად მიხვდება კაცი, რომ აუცილებელია დაუნდობელი, უკომპრომისო ბრძოლა ასეთი ადამიანების წინააღმდეგ, მათი თავიდან დროულად მოშორება.

ასე, რომ ჩვენს საყვარელ საქართველოში ჯერჯერობით საქმე არაა სასურველად, მაგრამ იმედია, ღვთის წყალობით გამოჩნდება ადამიანი, რომელიც ქვეყანას სწორი გზით წაიყვანს, გაატარებს ქვეყნის, ხალხის ინტერესების დასაცავად საჭირო, აუცილებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ვიქონიოთ იმედი!

ადამიანი ხომ უკეთესი მომავლის რწმენით ცხოვრობს!

მურმან სანგულია,
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან
იძულებით გადაადგილებული

როდემდე ქართველნო! როდემდე?

„ეცადე სიცოცხლეშივე არ მოკვდე"
გივი სომხიშვილი

„ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს, მისმინეთ
ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა, ურვისგან
გულშეპყრობილს"
ალექსანდრე ჭავჭავაძე

დღეს ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აღარ გააჩნია საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსისათვის აუცილებლად საჭირო სულ მცირე 3 პრინციპი მაინც: **ტერიტორიული მთლიანობის მართველობის განსაკუთრებული ორგანოების არსებობისა და სახელმწიფოს საშინაო-საგარეო საქმეებში გარედან ჩაურევლობის ანუ სუვერენიტეტის პრინციპები. ამ სამთაგან ერთ-ერთის არარსებობაც კი იწვევს მის სახელმწიფოებრივ არასრულყოფილებას, რაც დასტურდება ჩვენი ხალხის მიმართ გაეროს თუ სხვა სახელმწიფოების მხრიდან აშკარა უპატივცემულო დამოკიდებულებით.** ეს კი ჩემი სუბიექტური აზრი გამოწვეულია იმით, რომ 1992 წლიდან ჩვენ აღარ გვაქვს სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი საშინაო-საგარეო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მაინც, აღორძინება განვითარების ძირითად მიმართულებათა ერთიანი, მიმდინარე და პერსპექტიული, კომპლექსური გეგმები. მართალია 2012 წლიდან ცალკეული დარგების ხელმძღვანელები ე.წ. „თემატიური ჯგუფების" შექმნით თითქოს ცდილობდნენ რაღაცის გაკეთებას, მაგრამ ერთიანი სახელმწიფო გეგმისა და ურთიერთშეთანხმებული მოქმედების გარეშე მათ არაფერი გამოუვიდათ და ვერც ერთი დარგი წარმატებული ვერ იქნება. **მრავალ გმირ წინაპართა გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ, საკმარისი იქნებოდა, თუ გნებავთ, მარტო ფარნავაზ მეფის რეფორმებისა და მის მიერ ერისთავებისათვის დადგენილი სამთავროების საზღვრებზე და მათ უფლებებსა და მოვალეობებზე გადაგვევლო თვალი და შედეგიც სხვაგვარი იქნებოდა.**

არ ვიცი ვერ ვამჩნევთ თუ არ გვინდა დავინახოთ, რომ რომელიღაც შინაური თუ გარეშე მტრული ძალები აშკარად თუ ფარულად ხელს უშლიან ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლას, ქვეყნის აღორძინება-განვითარებას ე.წ. „დემოკრატიის" თუ „ლიბერალური" თეორიების მოშველიებით. 250-ზე მეტი ვითომ ოპოზიციური პარტიების შექმნით, თუ სპარსეთმა თუ თურქეთმა 7 რეგიონად დაგვშალა, ამათ 250-ზე მეტ ნაწილად დაგვშალა, რომელთა ურთიერთშორის უთანხმოებას და მუდმივ დაძაბულ მდგომარეობას ხელოვნურად აღვივებს შინაური ანტიეროვნული ძალები, ურიცხვ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ტელევიზიებში თუ კიბერნეტიკის, პრესის სხვა საშუალებებში და პრესაში დაუსჯელად მოკალათებული უცხოეთის მრავალი ქვეყნის ჯაშუშები.

ერთიანი სახელმწიფო გეგმების არარსებობასთან ერთად, წინასწარი განზრახვით დანაშაულებრივად გაუქმებულია ჩაწერისა და საპასპორტო სისტემის ინსიტუტები, არანაკლებ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულები იქნა ჩადენილი მიწის პრივატიზაციით, განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა ორგანოების, უშიშროების, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განადგურებით. დანაშაულებრივი წინასწარი განზრახვით სამუშაო ადგილების გაუქმების მიზნით ფაბრიკა-ქარხნების, წარმოება-დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ბიუროების და სხვათა ნგრევა განადგურებით, საზღვარგარეთ გაყიდვით, მიწის ზედა თუ წიაღისეული სიმდიდრის საჰაერო და საზღვაო პორტების, რკინიგზის შემადგენლობების გასხვისებით, შემნახველ სალაროებიდან ფულადი სახსრების თაღლითური გზით მიტაცებით, სახალხო ქონების დატაცების გზით, როგორც ბატონი მიხეილ ბაბუნაშვილი პრესაში წერდა, შევარდნაძემ და მისმა ჩინოვნიკებმა ქვეყანას 200 მილიარდი დოლარი წარტაცეს და ამერიკისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ოფშორულ ზონებში დაბანდეს.

ყველა ამ უბედურებასთან ერთად, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილსა და ნ. ბურჯანაძის ზეობის დროს უამრავ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან ერთად წაგვართვეს ეროვნება და მამის სახელი, რითაც საბოლოოდ ხალხი აქციეს უსახო მასად, ანუ „ნაბიჭვრების" ბრბოდ. ურთიერთგაუცხოებულ, ნდობა და იმედდაკარგულ, სამუშაო ადგილების მიზნობრივად გაუქმების გამო, გაზარმაცებულ, გალოთებულ, ყველაფრის მკადრებელ, ყველაფერზე წამსვლელ, დაგლახავებულ, სხვისი ხელის შემყურე, ხელებჩამოშვებულ, ყველაფერზე თვალებდამხუჭველ, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნილ, ორიენტაცია დაკარგულ, მომავლის უიმედოდ ქცეულ არსებებად.

როდემდე, ქართველნო! როდემდე ვითმინოთ ყოველივე ეს? მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობს შანსი ერისა და ქვეყნის გადარჩენისა, სანამ ჯერ კიდევ შემოგვრჩენია ეროვნული, ნიჭიერი და კვალიფიციური კადრები. მართალია დღეს რთულია, მაგრამ ყოველი რთული მდგომარეობიდან შეიძლება გამოინახოს გამოსავალი, იმედი მაქვს ეროვნული ნიჭიერი კვალიფიციური კადრები იპოვნიან ამ მდგომარეობიდან გამოსავალს, მითუმეტეს რომ ასეთი გამოსავალი არსებობს. **იმედია, დამეთანხმებით**, რომ მე დღეს თქვენთვის ახალი არაფერი არ მითქვამს, ყოველივე ამის შესახებ დღეს საქართველოში იცის ყველა ზრდასრულმა მოქალაქემ, რადგან ბოლო 30 წლის განმავლობაში ამას დაზეპირებულად ათასჯერ იმეორებენ ტელეეკრანის თუ პრესის ფურცლებზე გამოჩენის თუ გამორჩენის მიზნით არა მარტო ვითომ ოპოზიციური პარტიის 250-ზე მეტი ლიდერები, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მათი შემადგენლობა, პრესაში, ტელევიზიებში თუ სხვა საშუალებებში მოკალათებული ანტიეროვნული ძალები და უცხოეთის დაზვერვის აგენტები, არამედ სამწუხაროდ ჩვენი ინტელიგენციის, ეროვნული აკადემიის, საპატრიარქოს მესვეურებიც და ყველა სხვა დარგის წარმომადგენლები, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ, როგორმე ამ მდგომარეობით ისარგებლონ და მიიღონ მათთვის სასურველი შედეგი. ამ ხალხმა დღემდე ვერ შეძლო ქვეყნის გადასარჩენად შეექმნა სულ მცირე 5-7 კაციანი საინიციატივო ჯგუფი ისტორიკოსების, ეკონომისტების, ღვთისმსახურების, იურისტების და ფილოსოფოსების შემადგენლობით, რომელიც იფიქრებდა ქვეყნის გადარჩენის საკითხებზე. განსაკუთრებით სამარცხვინო და შემაძრწუნებელია, ეროვნული აკადემიის, ეკლესიის მესვეურთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა თბილ სავარძლებში მოკალათებულთა სამარისებური დუმილი, ვის მიუგდეთ თქვე დალოცვილები საჯიჯგნად ღვთისმშობლის წილხვედრილი ჩვენ გმირ წინაპართა სისხლით მორწყული საყვარელი სამშობლო. თუ გიფიქრიათ იმაზე რამდენი ფული გაიღო საქართველოს მშრომელმა ხალხმა თქვენი სწავლა-განათლებისთვის და რამდენს იხდის თქვენი უზარმაზარი არმიის შესანახად დღესაც. ნუთუ ვერ გრძნობთ თავს უხერხულად, როცა თქვენს მაგივრად სამთავრობო თუ ხელისუფლების ყველა განშტოების სავარძლებში სხედან არა თქვენებრ განსწავლული, არამედ 1965 წლიდან ერის მოღალატეთა მიერ გადაგვარებული უცხოეთის ვალიუტით გონებადახშული ქვეყნის ისტორიის არმცოდნე, გამოუცდელი გოგო-ბიჭები, რომლებიც ბრმად ასრულებენ საზღვარგარეთელი პატრონების ნება-სურვილს, საკუთარი ერის და ხალხის წინააღმდეგ, რადგან მათ ქვეყნის მართვა-გამგეობისა არა გაეგებათ რა. ამ დროს, თქვენი განზე დგომა და დუმილი რბილად რომ ვთქვათ ერის ღალატია და მეტი არაფერი. გიფიქრიათ კი ამაზე? მე ხომ მრავალ თქვენთაგანს შეგხვედრივარ და მადლობას გიძღვნით ამისათვის და ყოველივე ამის შესახებ მისაუბრია ზეპირად, წერილობით და წიგნიც კი მოგართვით **„საქართველო უპირველეს ყოვლისა"**. იქნებ სანამ გვიან არ არის ერთად ვიფიქროთ ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო როგორ გადავარჩინოთ. ვეცადოთ, რომ **„სიცოცხლეშივე არ მოვკვდეთ"**. როგორც ამის შესახებ გვიამბობს დიდებული მწერალი და მამულიშვილი გივი სომხიშვილი, თავის შესანიშნავ წიგნში **„სიცოცხლეშივე არ მოკვდე"**.

..."გულზედ მძიმე ლოდად მაწევს, ფიქრი მტანჯავს მე ქვეყნისა,
რა არ ვცადე მოსაძებნად, ქვეყნის გადარჩენის გზისა.
კარდაკარ დავწიალებდი, ვეძებდი მამულიშვილსა,
რომ გვეპოვა გასაღები, ქვეყნის გადარჩენის გზისა.
ჩვენი ქვეყნის ტრაგედიით გულშეძრული ვის არ შევხვდი,
თანამდგომს რომ ვერ ვპოვებდი, სამწუხაროდ მალე მივხვდი.
ქვეყნის გულშემატკივარი, სიტყვით ყველგან ბევრი ვნახე,
საქმით კი ერზედ მზრუნველი ჯერ ვერ ვპოვე „მევენახე"...

წიგნიდან **„საქართველო უპირველეს ყოვლისა"**.

რევაზ კიბორძალიძე,
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების
ვეტერანი, პოლკოვნიკი

ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

ძვირფასო თანამემამულენო!

მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ცრუმეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე და მისი ანტიმეგრული დაჯგუფება უახლოეს დღეებში აპირებს მეგრული ენის და მეგრული თვითმყოფადობის დამცველთა წინააღმდეგ მათივე შეთხზული პასკვილის გამოქვეყნებას! არ დაგიმალავთ და იმ პასკვილის ტექსტის ასლი უკვე ჩემს ხელთაა! დანამდვილებით ვიცი, რომ იმ პასკვილის ავტორი თვითონ ტ. ფუტკარაძეა! ვიცი, რომ ტ. ფუტკარაძე და კამპანია ლამობენ ტექსტზე ხელი მოაწერინონ ოდენ მეგრული წარმოშობის ნამარგალებს! ვიცი ისიც, რომ რამდენიმე სულგაყიდულმა არაკაცმა იმ პასკვილს ხელი უკვე მოაწერა! ვიცი ასევე, რომ რამდენიმე მეტად ღირსეულმა მამულიშვილმა კი, ის გააპროტესტა და მასზე საკუთარი ხელმოწერის დასმა არ იკადრა!

თანამემამულენო!

მტრებს სურთ, რომ ზოგად ქართველურ და ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში გაქრობის საშიშროების წინაშე მდგომი მეგრული ენის და მეგრული თვითმყოფადობის დაცვის მოსურნეებს დაგვაბრალონ კორდონებს იქედან სტიმულირებული სეპარატისტობა, რაც სხვა არაფერია თუ არა მარაზმი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ამაზრზენი პროვოკაცია!

გამომდინარე აქედან, ვაცხადებ პროტესტს და მოვუწოდებ საღად მოაზროვნე საზოგადოებრიობას, რომ ხმა აღიმაღლოს „ფუტკარაძეობიდების" მხრიდან აღვირახსნილი ანტიმეგრული გამოხდომების წინააღმდეგ!

უფალი ფარავდეს მარგალონას და სრულიად საქართველოს!

ვადინაფუდას ნანაში ნინა! ირიათონი ქოყოფედას მარგალური ნინა!

ზურაბ კვარაცხელია

აი, იმ პასკვილის ტექსტი, რომელიც ხელში ჩაგვივარდა... *იოვანე მინჩხის საგალობლები თუ "სამენოვანი" გაზეთი "გალი"*

ქართველთა ენობრივი და ეროვნული ერთიანობისათვის!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებობდა დიდი კოლხური ცივილიზაცია. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, კოლხური კულტურა ჩამოყალიბდა ისტორიული საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში და მისი აღმოსავლეთის საზღვარი ვრცელდებოდა მცხეთა-თბილისამდე. კოლხური კულტურა მოიცავდა ჩრდილო კავკასიის დიდ ნაწილსაც და სამხრეთით ჩადიოდა სინოპი-სამსუნის რეგიონამდე. სპეციალისტების მიერ კოლხური არქეოლოგიური კულტურის ცენტრად ივარაუდება ამჟამინდელი დასავლეთ საქართველო, ჭოროხის ხეობა, სამცხე-ჯავახეთი და აღმოსავლეთ საქართველო მცხეთამდე.

დაახლოებით ამავე პერიოდში არსებობდა საერთოქართველური ენა (არნოლდ ჩიქობავა, გივი მაჭავარიანი, ჰანს ფოგტი...). სწორედ ამ საერთოქართველურ ენას ქუჯისა და ფარნავაზის ეპოქაში დაეფუძნა ქართველთა სამწიგნობრო ენა, რომლის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებია ხანმეტი ტექსტები.

უძველესი ქართული ხანმეტი ტექსტების ენის უშუალო მემკვიდრეა ქართული საეკლესიო მწერლობის ენა; ამ უკანასკნელს კი აგრძელებს ქართული საერო მწერლობის ენა; შესაბამისად, უსაფუძვლოა გასულ საუკუნეში შექმნილი იდეოლოგემა, რომლის მიხედვით ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა ქართულ-კახურ კილო(ებ)ს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველთა არქაული სამწიგნობრო ენის ზოგი თავისებურება თუ ლექსიკა მეტ-ნაკლებად შემონახულია ყველა ქართველურ ქვესისტემაში, მათ შორის სვანურ და მეგრულ-ლაზურ მეტყველებებში.

საქართველოს მხარეებს შორის მომხვდურისაგან ყველაზე მეტად დაცული იყო დასავლეთ საქართველო; ლოგიკურია, რომ აქ იყო ქართველთა სამწიგნობრო კულტურის ყველაზე მძლავრი კერები; კერძოდ, ადრე თუ გვიან შუა საუკუნეებში ძირითადად ეგრისის საერისთავოში იყო პირობები, განვითარებულიყო ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო კულტურა; რისი დასტურიცაა იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, იოვანე პეტრიწისა თუ უფრო გვიანდელი მოღვაწის – ანტონ ჭყონდიდელის – ქართულენოვანი შემოქმედება; შესაბამისად, თუკი ვინმეა ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელი, პირველ რიგში, ეს არის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

წარმოდგენილი ისტორიის ფონზე რუსეთის იმპერიის შორსმიმავალი ანტიქართული ნაბიჯი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უსლარის, გრენისა თუ აშორდიას მიერ შექმნილი სვანური/მეგრული "ანბანით" (და ცალკეული ლოცვების მეგრულ-სვანურად თარგმნით) სამეგრელო-სვანეთის ქართველობისათვის გაეუცხოებინათ ისტორიული დედაენა – ქართველური (ზოგადქართული) სამწიგნობრო ენა.

მე-19 საუკუნის დასასრულს მთელი სამეგრელო აღუდგა წინ ამგვარ „ენობრივ დივერსიას"; განსაკუთრებით იაქტიურეს ნიკო და გრიგოლ დადიანმა, წმიდა ამბროსი ხელაიამ, ღირსმა მამამ მღვდელმონაზონმა ალექსი შუშანიამ და სამეგრელოში მოღვაწე სხვა სასულიერო პირებმა, რომელთაც დროულად გააცნობიერეს რუსეთის იმპერიის მიზანი, მეგრელთათვის (ასევე, სვანებისათვის) წაერთმია წინაპრების მიერ შექმნილი მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ისტორია და უმწერლებო ტომებად გამოეცხადებინა ძირძველ ქართველთა ნახევარი.

სოციალ-დემოკრატებმა, განსაკუთრებით კი ბოლშევიკებმა, რომლებიც ებრძოდნენ ეროვნებასაც და რელიგიასაც, გააგრძელეს რუსეთის იმპერიის ეს ენობრივი პოლიტიკა; აი რას წერდა სტალინი 1913 წელს წიგნში "მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი":

"კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?" (ი. სტალინი, 1951, გვ. 138-139)... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები...ავტ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

სწორედ ი. სტალინის ამ დებულების საფუძველზე გაჩნდა ტერმინები: "მეგრელი ტომი", "სვანი ტომი", "უმწერლებო ენა"... ეს ტერმინები საბჭოთა ინერციით დღემდეა გამოყენებული.

ჩვენი აზრით, ოცსაუკუნოვანი სამწიგნობრო ისტორიის მქონე ქართველი ერის რომელიმე ნაწილის გამოცხადება უმწერლებო ენის მქონე ტომად ამ კუთხის ქართველების შეურაცხყოფა და ისტორიის გაყალბებაა.

შეურაცხმყოფელია და, ამავე დროს, შორსგათვლილი მავნებლობაა ისიც, რომ, ერთი მხრივ, ზვიად გამსახურდიას მომხრედ გამოაცხადო თავი, მეორე მხრივ კი, იოვანე ლაზის, იოვანე მინჩხის, იოვანე პეტრიწის, ჭყონდიდლების, დადიანების, გამსახურდიების მშობელი კუთხის მოსახლეობას 21-ე საუკუნეში შეუქმნა "მეგრული ანბანი" და გააგრძელო თადა აშორდიასა და ისააკ ჟვანიას გზა: დისტანცირდე ისტორიული სამწიგნობრო ენიდან და დაიწყო მეგრულენოვანი ლიტერატურის, მეგრულენოვანი გაზეთებისა თუ მეგრულენოვანი ვიკიპედიის შექმნა... პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ მან ხელი არ მოაწერა რუსეთის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, სხვა ქართველებისაგან გაემიჯნა სამეგრელო-აფხაზეთის მოსახლეობა. დღეს კიდევ ერთხელ კლავენ ზვიად გამსახურდიას ისინი, ვინც ქართველებს ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებენ. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამგვარი ენობრივი დივერსიით სამეგრელოსა თუ სვანეთის მკვიდრთ არომეკენ ამ კუთხის ქართველთა წინაპრების მიერ შექმნილ დიდ კულტურას, რაც, საბოლოო ჯამში, ამ კუთხეების მოსახლეობასაც გადააგვარებს და გაანადგურებს ერთიან საქართველოსაც.

ერთ კონკრეტულ ფაქტს შევეხებით:

2009 წელს ვახტანგ გვარამიამ და გიორგი ციციშვილმა გამოსცეს წიგნი "მეგრული საკითხი"; ავტორები დადებით კონტექსტში წარმოაჩენენ რა ისააკ ჟვანიას, მიზანმიმართულად ამართლებენ რუსულ საბჭოურ (სტალინურ) ენობრივ პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო მეგრელების გაყვანა ქართული სამწიგნობრო ენის სივრციდან. საინტერესოა ერთი "პატარა" ნიუანსიც: ვახტანგ გვარამიასა და გიორგი ციციშვილის დასახელებული წიგნის შიდა ყდაზე საგანგებოდაა გამოტანილი ისააკ ჟვანიას სურათი, რომელიც ავტორებისათვის გადაუცია ალექსანდრე ჭაჭიას – პუტინთან დაახლოებულ ქართული წარმოშობის პოლიტიკოსს. დასახელებული ავტორების მიზანია:

– საქართველოს უნიტარული სახელმწიფოსადმი ნეგატიური დამოკიდებულების ფონზე ხალხი შეაჩვიონ საქართველოს ფედერალურ თუ კონფედერაციულ მოწყობას (რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში არსებულ საქართველოს საბოლოოდ დაშლის ფედერაციული/კონფედერაციული თუ რეგიონული მოწყობა);

– მეგრელებს გაუუცხოვონ ისტორიული დედაენა – ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენა, მეგრელთა სამწიგნობრო კულტურის ენად დაამკვიდრონ მეგრული და ქართველი ერი დაანაწევრონ ენობრივ-ეთნიკურად.

იმავე სულისკვეთების სხვა პირები პორუსული თუ ფსევდოლიბერალური გარე ძალების დახმარებით ცდილობენ, "რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის" არსის გაყალბებით „დაიცვან" "მეგრული ენა" (და "მეგრელი ხალხი"), ქართულის ალტერნატივად ქმნიან მეგრულენოვან ლიტერატურას, მეგრულენოვან ეკლესიას, მეგრულენოვან სახელმძღვანელოებს, მეგრულენოვან ვიკიპედიას... პარალელურად, ისინი ბილწსიტყვაობით (საბჭოთა კგბ-ს მეთოდოლოგიით) შეურაცხყოფენ იმ მოღვაწეებს, ვინც, რუსული ენობრივი პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, არგუმენტირებულად წარმოაჩენს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ისტორიულ ერთიანობას.

რუსეთის იმპერიის წაქეზებით მსგავსი რამ უკვე ხდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც და მე-20 საუკუნის 20-იან წლებშიც; მაგალითად, აი, რას წერს ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია:

"ნუთუ მეოცე საუკუნეში ვინმემ უნდა თქვას: მეგრული სხვა არის და ქართული კიდევ სხვაო?! სხვა არის ის მეგრული, რომელშიაც თითქმის ასი პროცენტი ქართული ძირის სიტყვებია? ის მეგრული, რომელიც წარმოადგენს აწინდელის ქართულის შევსებას?! მეგრულს ოჯახში, შინაურობაში, ხმარობს ხალხი, მაგრამ მეგრული, როგორც დამახასიათებელი ეროვნებისა, არ არსებულა... ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს... 1905 წ. რევოლუციამ ცოტათი შეანელა ჩვენი რუსოფიკატორების გულმოდგინება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ..."

ერს აყალიბებს, ამთლიანებს ერთი ენა - ერთი სააზროვნო სისტემა; შესაბამისად, ის ვინც ქართველებს ენობრივად ანაწევრებს, ის უარყოფს ქართველი ერის არსებობას. ქართველი ერი, როგორც ერთიანი ენობრივი, კულტურული და ეთნიკური მოვლენა, სულ მცირე, ოცი საუკუნეა არსებობს; აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური და კულტურული ერთიანობის უპირველესი გარანტი იყო და არის საქართველოს ეკლესია. ფაქტია ისიც, რომ მრავალი საუკუნეა ქართველი ერის ბირთვს წარმოადგენს სამეგრელოს ქართველობა; შესაბამისად, დღეს ვისაც სურს ქართველი ერისაგან გამოჰყოს "მეგრელი ხალხი" და "ტომად" თუ ცალკე ერად გამოაცხადოს, ანდა, ქართული ენისაგან დამოუკიდებელ ენად წარმოაჩინოს მეგრული მეტყველება და აპირებს XXI საუკუნის დასაწყისში შექმნას საკუთრივ „მეგრული" სამწიგნობრო კულტურა, ნებისთა თუ უნებურად, რუსეთის იმპერიის სამსახურში დგას, რამდენადაც სწორედ რუსეთის ინტერესში შედის ქართველთა დაცალკევებით საქართველოს დანაწევრება და სრული კონტროლის დამყარება საქართველოს საზღვრებში არსებულ შავი ზღვის სანაპიროზე...

სამეგრელოს მკვიდრი ყველა ნორმალური პიროვნების მიზანია, შევინარჩუნოთ ქართველი ერის არსებობის აუცილებელი პირობა – ზოგადქართული (ქართველური) სამწიგნობრო ენაც და ყველა ქართველური კუთხური მეტყველება, მათ შორის საოცრად მრავალფეროვანი მეგრული, რომელიც ოდითგანვე იყო ქართველთა დედაენის მასაზრდოებელი თავანკარა ნაკადული. სწორედ ამ ერთიანობისათვის იღვწოდნენ ჩვენი წინაპრები... ვინც ზოგადქართული კულტურისაგან, ენისაგან, ლიტერატურისაგან გამოცალკევებას ცდილობს, ის ემიჯნება, იოვანე მინჩხს, იოვანე პეტრიწს, ჭყონდიდლებს... გამსახურდიებს, ლეო ქიარელს, ტერენტი გრანელს...

საქართველოს ყველა მოქალაქის, ასევე, საერთაშორისო საზოგადოების საყურადღებოდ, დასკვნის სახით, წარმოვადგენთ დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას ფაქტობრივ ანდერძს (რომელსაც ჩვენ სრულად ვიზიარებთ):

"...სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს – ბარბარიზმებს – დაეყრდნოს. აქ უმთავრესია "შინაგანი სესხი", ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა..." (კ. გამსახურდია, რვატომეული, 1980, ტ.V, გვ. 995-956). "XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული" (კ. გამსახურდია, 1929; ათტომეული, 1983, ტ.VII, გვ. 499).

რევაზ შეროზია, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ზურაბ თორია, მწერალი; რევაზ კემულარია, ექიმი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

ᲘᲪᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ?

ვინაიდან, მავანნი თავისას მაინც არ იშლიან და ჩემი, ან ჩემი იდეური თანამოაზრეების დასამუნათებლად პერმანენტულად გამოკუნტრუშდებიან ხოლმე, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ბინძურ ინსინუაციებსაც კი არ ერიდებიან – აუცილებლად მიმაჩნია კიდევ ერთხელ მეც მკაფიოდ დავაფიქსირო პოზიცია! მინდა კიდევ ერთხელ საჯაროდ განვაცხადო ის, რაც არის წყალშეუვალი სიმართლე! ჰოდა, იცით როგორია ეს სიმართლე? იმ ავადსახსენებელ მეფის რუსეთის იმპერიაშიც და საბჭოთა იმპერიაშიც ბოლოსდაბოლოს ორადორი ეთნოსის ენა იყო მუდმივად რეპრესირებული! გაინტერესებთ რომელი ენებია? ახლავე გეტყვით: მეგრული და სვანური ენები! ჯანდაბას იმპერია, მაგრამ იმ იმპერიის მმართველობა ამ ენების მიმართ რეპრესიულ ღონისძიებებს ქართული ელიტის სურვილის შესაბამისად ახორციელებდა! იმ ავადსახსენებელ იმპერიას შეეძლო ამ ენებისთვისაც შეეშხაპუნებინა სასიცოცხლო ინექცია, მაგრამ არ გააკეთა ეს, რადგან არ სურდა ქართულ ელიტასთან კონფრონტაცია! ახლა გეკითხებით: ოფიციალური, პოლიტიკური თბილისი რატომ არ იღებს პასუხისმგებლობას ზემოთხსენებული ენების დაცვა-გადარჩენაზე? რატომ? რატომ? ღმერთო შეგცოდე და მრჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული ელიტა და მათ შორის მეგრული წარმოშობის ელიტარები არათუ არ ზრუნავენ ამ ენების გადასარჩენად, არამედ, ერთი სული აქვთ როდის გაქრებიან ისინი! სამარცხვინოა ეს და თავისი არსით ზოგადეროვნულ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი მტრობაც! დიახ, ენა არის ყველაზე დიდი კულტურული და ისტორიული საუნჯე და მის დასაცავად, შესანარჩუნებლად ვინც თითს არ ანძრევს, ან, უფრო უარესი – ვინც აშკარად ვნებს, ებრძვის მას – არის სამარცხვინო და დაუძინებელი მტერი! აი, ესაა სიმართლე და კარგად უნდა გაითავისოს ეს სულყვეკლამ!..

რეპრესირებულ ენას კანონით სჭირდება რეაბილიტირება! ცალკეული ენთუზიასტების მცდელობა არაა საკმარისი ენის გადასარჩენად! უიშვიათესი გამონაკლისის გარდა – ვერც ბიზნესმენები გაბედავენ ამ საქმეში ფულის ჩადებას! საკანონმდებლო ბაზა უნდა არსებობდეს! ხელისუფლების კეთილი ნება უნდა არსებობდეს! დიახ, ნება, რომელიც კანონით იქნება გამყარებული! ამას უნდა მივაღწიოთ! ამას დაუღალავი და სწორი აგიტაცია-პროპაგანდა სჭირდება! ამას ერთიანობა სჭირდება! ამას მობილიზაცია სჭირდება! მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ არსებულ ხელისუფლებას კოლხურ-იბერიულ (ქართველურ) ენათა დაცვის სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანა! აუცილებლად უნდა შეიქმნას საპარლამენტო სპეციალური კომისია! კომისია უნდა იყოს უაღრესად კომპეტენტური და მან უნდა შეიმუშავოს კომპლექსური პროგრამა! პროგრამაში უნდა ჩაიდოს ყველაფერი ის, რაც შეუქცევადს გახდის მეგრული ენის გადარჩენა-განვითარების პროცესს! თუ რა უნდა ჩაიდოს იმ პროგრამაში, აი, ამაზე უნდა იფიქროს საზოგადოებამაც და წინადადებებიც შესთავაზოს კომისიას! მე მაგალითად ვფიქრობ, რომ აუცილებელია, დაწყებით კლასებში ისწავლებოდეს მეგრული (ლაზურიც და სვანურიც) ენა! აუცილებელია სახელმწიფომ ორგანიზება გაუკეთოს მეგრულ (ლაზურზეც და სვანურზეც) ენაზე რადიო და ტელემაუწყებლობის ფუნქციონირებას! აუცილებელია მეგრულ (ლაზურზეც და სვანურზეც) ენაზე ბეჭდითი გამოცემების სტიმულირება! აუცილებელია მეგრულ (ლაზურზეც და სვანურზეც) ენაზე მოსაუბრე ადამიანებს სახელმწიფო ენასთან პარალელურად მინიმუმ საკუთარი რეგიონის ტერიტორიაზე მაინც მიეცეთ ნანაში ნინას გამოყენების შესაძლებლობა! ამის გარდა, ალბათ ბევრი სხვა რამეცაა აუცილებელი! მოკლედ, პროგრამაში უნდა ჩაიდოს ყველაფერი ის, რაც საჭიროა და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისი პრაქტიკული განხორციელება! ვიმეორებ: ერთეული ენთუზიასტების ძალისხმევა არაა საკმარისი და თუ სახელმწიფოებრივ დონეზე არ მოგვარდა ეს პრობლემა, მაშინ უახლოეს ათწლეულებში ჩვენს ნანაშ ნინას გაქრობა უწერია! ენის გაქრობა კი, შესაბამისად ჩვენს იდენტობასაც წაშლის, რაც ეთნოსის სიკვდილია! ვისაც ჩემი ეთნოსის სიკვდილი სურს – ჩემი სიკვდილის მოსურნეა! ჩემი და ჩემი ხალხის სიკვდილის მოსურნის მიმართ კი, ბუნებრივია ყოველთვის მექნება ადექვატური რეაქცია!..

და კიდევ: ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს ზოგადეროვნულ, ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში! ასე რომ, არავის ვურჩევ კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ ჩემი ან ჩემი მეგობრების მისამართით ლაფი გამოისროლოს!..

და ბოლოს: უფალი შეგვეწიოს ჩვენს მამულიშვილურ ზრახვებში და საქმიანობაში!..

ვადინაფუდას ნანაში ნინა! ირიათონი ქოყოფედას მარგალური ნინა!..

ზურაბ კვარაცხელია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალადანიას

“ორივემ კიმონოში გამოწყობილებმა ვიქორწინეთ...” – ქართველი სუმოისტის იაპონური ქორწილი

აცუ ბაშუს ტურნირის ქართველ გამარჯვებულს, ლევან გორგაძეს, იმპერატორის თასი იაპონიის განათლების, სპორტის, მეცნიერების და ტექნოლოგიების მინისტრმა იოშიმასა ჰაიაშიმ საზეიმოდ გადასცა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ტოკიოში, სუმოს ცენტრალურ დარბაზ კოკუგიკანში გამართულ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლევან ცინცაძემ.

ქართველი სუმოისტის უპრეცედენტო გამარჯვება ქართველ ხალხს მიულოცა საქართველოს ვიცეპრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ და საზღვარგარეთ საქართველოს იმიჯის პოპულარიზაციაში ქართული დიასპორის წარმომადგენლების უმნიშვნელოვანეს როლს გაუსვა ხაზი.

„გულითადად ვულოცავ მთელ საქართველოს ტოჩინოშინის – ლევან გორგაძის გამარჯვებას! მეამაყება რომ სუმოს ისტორიაში ლევანია ერთ-ერთი ევროპელი იმ სამთაგან ვინც გახდა სპორტის ამ სახეობაში უმაღლესი ჯილდოს – იმპერატორის თასის მფლობელი. ლევანმა ამ წარმატებით და ასევე საკუთარი მოღვაწეობით უკვე მრავალი წელია მთელს მსოფლიოში სახელი გაუთქვა საქართველოს! გულითადი მადლობა ჩვენს მეგობარ იაპონელ ხალხს, რომლებიც დიდ სიყვარულს და პატივისცემას გამოხატავენ ლევანის მიმართ და ქართველებთან ერთად ზეიმობენ მის გამარჯვებას! გასულ წელს იაპონიაში ჩემი ვიზიტის დროს საქართველოს მთავრობის სახელით ლევანს მივანიჭეთ ტურიზმის საპატიო ელჩის წოდება, ეს ტიტული სიმბოლურად გამოხატავს ერთგვარ ხიდს, რომლითაც ლევანი თავისი წარმატებული მოღვაწეობით აკავშირებს საკუთარ სამშობლოს არა მხოლოდ იაპონიასთან, არამედ მთელს მსოფლიოსთან. ლევანის წარმატება კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ რაოდენ დიდი პოტენციალის და ნიჭის მატარებელია ჩვენი ერი, რამხელა სიმაღლეებს აღწევენ ქართველები მთელს მსოფლიოში”, – განაცხადა ჯანელიძემ.

მაგრამ, მოდით კვლავ ქართველი სუმოისტის საქორწინო მოგონებებს დავუბრუნდეთ: “ქორწილი 3 საათს გაგრძელდა, საქართველოში რომ მოვილხენთ ხოლმე ცეკვებითა და თამადის გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით, აქ ასე არ იციან. ვიჯექი მორჩილად, ლუკმაც არ ჩამიდვია პირში, თუმცა, ცერემონია რომ დასრულდა, ახლობლებთან ერთად მამაპაპურად მოვილხინეთ”

“სუმო იაპონელისთვის უფრო ტრადიციაა, ვიდრე სპორტი. მას თავისი წესები აქვს. მაგალითად, ქუჩაში ტრადიციული სამოსითა და ვარცხნილობით გავდივართ. არ გვაქვს უფლება, გვყავდეს საკუთარი მანქანა...”

12 წელია, რაც 29 წლის ლევან გორგაძე იაპონიაში ცხოვრობს, იქ მას ტოჩინოშინის სახელით იცნობენ. წარმატებული სუმოისტია, ისევე როგორც კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე, გაგამარუდ ცნობილი თეიმურაზ ჯუდელი.

ჟურნალისტი ლევან გორგაძეს იაპონიაში დაუკავშირდა.

– სოფელ ძეგვიდან ვარ. წარსულში სამბოს მოჭიდავე პაპამ 6 წლისა ძიუდოზე შემიყვანა. 18 წლის ვიყავი, იაპონიაში რომ ჩამოვედი ჭაბუკთა შორის სუმოს მსოფლიო ჩემპიონატზე. მომდევნო წლებშიც მივიღე ჩემპიონატებში მონაწილეობა და დავრჩი იაპონიაში. 12 წელია სუმოისტი ვარ, მაგრამ ძიუდო მხიბლავს. აქ რომ ჩამოვედით, სუმოს ცნობილი მოჭიდავე ლევან ცაგურია მოვიდა და დაგვარწმუნა, იაპონიაში თუ დავრჩებოდით, წარმატებას მივაღწევდით. ასე დავრჩით ამ ქვეყანაში მე და გაგამარუ. თავდაპირველად ადამიანებს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი, ჩემს თვალში ყველას ერთი სახე ჰქონდა, სახელების დამახსოვრებაც კი მიჭირდა, ენა არ ვიცოდი, ცხოვრების წესიც უცხო იყო. იაპონელები ძირითადად, უმი პროდუქტით იკვებებიან. ძალიან გამიჭირდა შეგუება, თუმცა, დრო რომ გავიდა, შემიყვარდა და გავსუქდი კიდეც.

– გასასუქებლად სპეციალურ მენიუს გიდგენენ?

– არანაირი მენიუ. დღის რეჟიმს ვიცავთ, კვებით კი ჩვეულებრივად ვიკვებებით, დღეში ორჯერ.

– მაშ, რა გასუქებთ?

– ბრინჯი.

– მთელი იაპონია ბრინჯს ჭამს...

– მე ბევრ ბრინჯს ვჭამ... სუმოისტს წონა სჭირდება, თორემ მოწინააღმდეგეს ვერ გაუმკლავდება... სუმოში ასეთი წესია – კლუბში რომ ახალი წევრი შეჰყავთ, სახელს პრეზიდენტი არქმევს. მეც ასე მეწოდა ტოჩინოშინი, რაც გულს ნიშნავს. აქ სულ 50 კლუბია და თითოში მხოლოდ ერთი უცხოელია.

– სტანდარტი თუ არსებობს, რა წონა ან სიმაღლე უნდა ჰქონდეს სუმოისტს?

– სიმაღლეში 165 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მე 192 სმ ვარ. წონის სტანდარტი არ არსებობს. აქ რომ ჩამოვედი, 115 კილოგრამი ვიყავი. ახლა 170 კგ-ს ვიწონი. მიხარია, რომ ქართველმა სუმოისტებმა ბევრ იაპონელს გავაცანით საქართველო. შარშანდლამდე მეც და გაგამარუსაც გვაცხადებდნენ – “გრუზია”. ახლა “გრუზია” “ჯორჯიათი” ჩაანაცვლეს...

– რას ნიშნავს იაპონელებისთვის სუმო?

– სუმო იაპონელისთვის უფრო ტრადიციაა, ვიდრე სპორტი. მას თავისი წესები აქვს. მაგალითად, ტრადიციული სამოსითა და ვარცხნილობით გავდივართ. არ გვაქვს უფლება, გვყავდეს საკუთარი ავტომანქანა. წესებს მკაცრად ვიცავთ. წელიწადში ექვსი ოფიციალური შეჯიბრება გვაქვს, მათგან სამი – ტოკიოში, სამიც – სხვადასხვა ქალაქში. ასე რომ, ტოკიოში კი ვცხოვრობთ, მაგრამ წლის განმავლობაში 5 თვეს თუ ვატარებთ ამ ქალაქში. ახლაც ფუკოკაში ვარ შეჯიბრებაზე.

– მეუღლე თან დაგყვებათ?

– არა, მეუღლე ტოკიოშია. სუმოს ტრადიციებიდან გამომდინარე, არ მაქვს უფლება, ორთაბრძოლებზე წავიყვანო. სანამ ელიტაში არ ხარ, სულ კლუბში ცხოვრობ და არც დაოჯახების უფლება გაქვს.

– ქორწილი იაპონიაში გადაიხადეთ?

– მე და ნინო სოფელში, ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ჩვენი სიყვარულის ისტორია მე-6 კლასში დაიწყო. შარშან გადავწყვიტეთ, გვექორწინა. ხელი მოვაწერეთ და ჩამოვიყვანე იაპონიაში, ქორწილი ტოკიოში გადავიხადეთ 31 იანვარს. ნინომაც საქორწინო კიმონო შეიძინა. ასე რომ, ორივემ კიმონოში გამოწყობილებმა ვიქორწინეთ...

იაპონიაში ოცამდე ქართველი თუ ვიქნებით. ყველა დავპატიჟე. ცერემონია 3 საათს გაგრძელდა, საქართველოში რომ მოვილხენთ ხოლმე ცეკვებითა და თამადის გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით, აქ ასე არ იციან. ვიჯექი მორჩილად, ლუკმაც არ ჩამიდვია პირში, თუმცა, ცერემონია რომ დასრულდა, ახლობლებთან ერთად მამაპაპურად მოვილხინეთ.

– მომავალს როგორ ხედავთ, იაპონიაში აპირებთ დარჩენას?

– სულ აქ ყოფნას არ ვაპირებ, ბოლოს აუცილებლად დავბრუნდები. სანამ ორთაბრძოლას შევძლებ, ვიასპარეზებ. დარწმუნებული ვარ, 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიადამდე ვიჭიდავებ და ბევრი გულშემატკივრის გულსაც გავახარებ. როდესაც საქართველოდან წამოვედი, მაშინ არც დენი იყო, არც გაზი, არც წყალი, ყველაფერი – ანგრეულ-დანგრეული. ახლა რომ ჩამოვდივარ, ვხედავ, ბევრი რამ გაკეთდა და სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება.

– ვინც დიდი ხნის განმავლობაში თბილისში არ ყოფილა, საცობების გამო შეწუხებულია.

– საცობები თქვენ აქ უნდა ნახოთ – მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ავტობანი და ტრასაა, მაინც საოცრად გადაჭედილია ქუჩები. ჩვენ ძირითადად, ტაქსით გადავადგილდებით, მაგრამ აქ მატარებელი ყველაზე მოთხოვნადი ტრანსპორტია. იაპონიაში მომსახურების სფერო უმაღლეს საფეხურზეა – ყველა გიღიმის, პუნქტუალობით გამოირჩევიან... აქ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ცხოვრობენ, ათეისტიც ბევრია. მე და ჩემი მეუღლე ტოკიოში წმინდა ნიკოლოზის რუსულ ეკლესიაში დავდივართ.

ეკა სალაღაია

2 თებერვალი რინოს კვარაცხელიას გარდაცვალების დღეა...

ოთხი წელი გავიდა ამ საოცარი ადამიანის აღსრულებიდან... გულრწყლად გითხრათ მისი ამქვეყნიური არყოფნა დიდი და აუნახდაურებელი დანაკლისი მხოლოდ მისი უსაყვარლესი ოჯახისთვის თუ ახლობლებისთვის როდია... მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ასევე მისი ხალხისთვისაც, მისი სამშობლოსთვისაც... ის იყო ბრწყინვალე პოეტი და გულმხურვალე მამულიშვილი... ის იყო კაცი, რომელიც მიუხედავად მის ოჯახს, მის თავს დამტყდარი საშინელი ტრაგედიისა, სულიერად მაინც არ გატყდა, არ დაეცა და იცხოვრა ისე, როგორც შეეფერებოდა მისი კაცობის და მისი ნებელობის მქონე დიდ პიროვნებას... მრავალჯერ მაქვს ნოქვამი და ახლაც ვიტყვი, რომ პირადად ჩემთვის ბატონი რინოს კვარაცხელია იყო ერისკაცის, კოლხი კაცის, მეგრელი კაცის, ლაკადელი კაცის ეტალონი... ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ იმით, რომ მასთან არამხოლოდ მოგვარეობა, არამედ, ახლობლობაც მაკავშირებდა... შეუფასებელია მისი ღვაწლი საკუთარი ოდაბადეს წინაშე... მიმაჩნია, რომ მიუხედავად ამჟამინდელი სავალალო სიტუაციისა, ჩვენს იდენტობას მაინც თუ შევინარჩუნებთ – ეს რინოს კვარაცხელიას უდავოდ დიდი დამსახურებაც იქნება... მჯერა, ნამდვილად მჯერა, რომ ისტორიული ბედუკუღმართობით გადაშენებულ ხალხებს თუ ეთნოსებს ჩვენც თუ არ შევუერთდებით, მაშინ, ამ სულკურთხეული ადამიანის სახელიც და გვარიც აუცილებლად მისივე ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება... დიახ, ასეა ეს და მისმა მშობლიურმა წალენჯიხამ, შურობუმუ მარგალონამ და სრულიად საქართველომაც უნდა იამაყოს თავისი ერთ-ერთი გამორჩეული და სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული შვილით...

ასეა, დიდი ადამიანები მოდიან და მართალია მერე სამწუხაროდ მიდიან, მაგრამ თავისი საქმეებით ამ საქაოში წარუშლელ, ნათელ კვალსაც აუცილებლად ტოვებენ... ასეთი ადამიანები იქიდანაც გვეხმარებიან დროებით აქ დარჩენილებს... ისინი იქიდანაც გვამხნევებენ და გვაძლიერებენ ამქვეყნიურ უსამართლო რეალობასთან შეჭიდებულებს... რინოს კვარაცხელიაც ერთ-ერთი იმათთაგანია... ის მუდმივად ჩვენს გვერდითაა... ის არ მიგვატოვებს.... იმქვეყნად გარდასულიც თავის ხალხს, თავის სამშობლოს იქიდანაც პატრონობს და ჭირისუფლობს რინოს კვარაცხელია...

უფალმა გაანათლოს ამ დიდებული ადამიანის სული...

ღორონთქ ოჩხონუას ლეგენდარული რინოსი კვარაცხელიაში შური...

ზურაბ კვარაცხელია

ბიჭიკო ზვიადაძე – 85

ჭეშმარიტად ერისკაცს, პროფესიონალიზმითა და პირადი პატიოსნებით გამორჩეულ ჩვენს კოლეგას, „საღამოს თბილისივითა“ და „ქუთაისივით“ უდროოდ სიცოცხლეწართმეული გაზეთების – „კუტაისკაია პრავდასა“ და „რიონის“ ყოფილ მთავარ რედაქტორს, ამჟამად კი იმერეთის პენსიონერთა თავკაცს ბიჭიკო ზვიადაძეს ვულოცავთ უაღრესი სინდისიერებით განვლილ 85 წელიწადს და ვუსურვებთ, რომ ერთად შევეცადოთ, მოვძებნოთ დამაჯერებელი პასუხი დიდი ილია მართლის ფრიად დამაფიქრებელ შეკითხვაზე:

„ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?“

რადგან ამ კითხვაზე პასუხის შემდეგ ბევრი რამ დარჩება გასაკეთებელი, რომ ჩვენი მონაგარი თავისუფალ და ბედნიერ საქართველოში დავტოვოთ, მრავალჟამიერ, ძვირფასო მეგობარო!

სპარტაკ ძოწულია,
ალექსანდრე შენგელია

ილუმორი

რაბინოვიჩი შედის ბორდერში, ქირაობს გოგო, ის იყო ფული გადაიხადა, რომ შემოცვივდნენ პოლიციელები. ყველანი კედელთან მიაყენეს და დაიწყეს მათი გამოკითხვა:

– შენ ვინ ხარ, მეძავი?

– როგორ გეკადრებათ. მე მასაჟისტი ვარ!

– შენ?

– მე პედიკურს ვაკეთებ!

რაბინოვიჩი აყვირდა:

– შეხედეთი ამ ლამაზმანებს! ისე გამოიყვანენ, რომ მე ვარ მეძავი!

* * *

– სარა, თქვენ ებრაელი ხართ?

– არა. რატომ მეკითხებით?

– თქვენს მამას ხომ ისაკი ერქვა?

– მაშინ, თქვენი აზრით, ისაკიევის ტაძარი სინაგოგაა?

* * *

ცოლ-ქმარი მაღაზიაში შედიან.

ქმარი გამყიდველს მიმართავს:

– თუ შეიძლება, აი, ის ძეხვი ამიწონეთ, სამასი გრამი, ძაღლისათვის.

– კი მაგრამ, ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს? – ეჩურჩულება ცოლი ქმარს.

– სუ! – აჩუმებს ქმარი, – ნუ წკმუტუნებ...

სასწაულმოქმედი პრეპარატები “დომენტოლი” და “გაგენოლი” მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუგალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge